გაზეთი ბოლოს, „ბოლოსა“ ერთი

ბოლოს

ფასი 60 თეთრი

№97 (1123) 2 - 4 ოქტომბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„რუსთავი 2“-ის ქონება დაყადაღებულია

თავისუფალი მედია დახმარებას ითხოვს

გვ. 2

სასამართლო დავის დეტალები

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით საგანელიძესთან

გვ. 3-4

რატომ ანდეს საპარტნიორო ფონდი, რა რეფორმას გააცარებს, რა შემთხვევაში შეამცირებს საკუთარ ხელფასს და დაათმობინებს თუ არა სახელმწიფოს ენერგეტიკულ პროექტებს ყოფილი დეპუტატი

„ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვა საქართველოს მთავრობის ურყევი მიზანია“

ირაკლი ღარიბაშვილი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა

გვ. 8

რატომ არ აინტერესებს სახელმწიფოს აფხაზეთის ომის ვეტერანი, ინვალიდი ფეხბურთელები

გვ. 6

ბაჩო ფიფია: „მაწანწარა ძაღლების თავშესაფარი 180 000 ლარით ფინანსდება... მოვითხოვთ, ჩვენი სტატუსი მიუახლოვდეს მაწანწარა ძაღლების სტატუსს“

კახა კახიშვილმა ზონაზე კარტი და „ბრაგა“ აკრძალა

რა შეიცვალა ციხეში ახალი მინისტრის პირობებში და სცემენ თუ არა ისევ პატიმრებს

პატიმრის დღიური

გვ. 8

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი საქართველოში აშშ-ს ელჩს შეხვდა

გვ. 2

„რუსთავი 2“-ის სასამართლო დავის დეტალები

ლაშა დვალი

მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, „რუსთავის 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა, რომ ხელისუფლება მის ტელეკომპანიას ხურავს. მეტიც, გვარამიამ მოსახელობას დახმარება სთხოვა და გარდა იმისა, რომ სასამართლოებზე სიარულისკენ მოუწოდა, საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვაც სთხოვა — ტელეკომპანიას ახლა თქვენი გვერდში დგომა სჭირდებაო.

გვარამია ამტკიცებდა, რომ თურმე ტელეკომპანიამ ინვესტორი მონახა, რომელიც ხელისუფლებას არ აწყობს. ის ინვესტორი კი დავით კეზერაშვილის ცოლისძმა, დიმიტრი ჩიქოვანი გახლავთ, რომელიც მზად არის, 6 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს. მართალია, არავის აუხსნია, ხელისუფლებაში „ცალ-ცალი კალოშით“ მოსულ კეზერაშვილს და მის ცოლისძმას საიდან აქვთ ამდენი თანხა, მაგრამ ეს რა საჭიროა? არც ის გახსენებია ვინმეს, რომ ნაციონალების ზეობის პერიოდში სარეკლამო ბაზარს ვერ გაეკარებოდი, რადგან იქ მონოპოლია სწორედ ჩიქოვანს ჰქონდა, თუმცა ესეც არა უშავს...

მოკლედ, აურზაური საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამ განცხადების შემდეგ დაიწყო: **„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს ყველას, პატივი სცენ მისი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობას და თავი შეიკავონ უსაფუძვლო განცხადებების ანდა ფაქტობრივად არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან. სიმართლეს არ შეეფერება ინფორმაცია, თითქოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ შესახებ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადების წარმოდგენის დღესვე, 29 სექტემბერს (ხელმისაწვდომია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.napr.gov.ge). გადაწყვეტილება მდგომარეობდა იმაში, რომ შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ პარტნიორების კუთვნილი წილის გასხვისების რეგისტრაციის მოთხოვნას გააჩნდა სამართლებრივი ხარვეზი — შემძენი მხარის წარმომადგენელს მინიჭებული ჰქონდა შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ საკუთრებაში არსებული წილების შეძენის უფლებამოსილება და არა — შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ კაპიტალში პარტნიორთა წილების შეძენის უფლება.**

ამ მომენტისთვის, სააგენტოში არ არის წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტი, რომელიც გამოასწორებს მინდობილობისთვის კანონმდებლობით დადგენილ ხარვეზს. ამგვარი დოკუმენტის წარმოდგენისთანავე, სარეგისტრაციო წარმოება განახლდება, როგორც ეს ხდება ნებისმიერ სხვა საქმეზე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდება ტელეკომპანიისა და შემძენი მხარისათვის სასურველი რეგისტრაცია“.

აქვე შევახსენებთ დაინტერესებულ მხარეებსა და სხვადასხვა განცხადების ავტორებს, რომ კანონმდებლობის თანახმად („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი, 2009 წლის 30 დეკემბერი; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანება) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეწარმეო რეესტრში წარდგენილი განცხადება და თანდართული ნებისმიერი დოკუმენტი საჯაროა, ქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, განაცხადის წარდგენის პირველივე წუთიდან. ამგვარი საჯაროობა და გამჭვირვალობა ემსახურება ყველა მხარის ინტერესს, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ბიზნესსა და სამეწარმეო საქმიანობას.

მანამდე, ტელეკომპანიის მფლობელობაზე მომჩივანმა ქიბარ ხალვაშმა სასამართლოს მიმართა. სასამართლომ კი „რუსთავი 2“-ის 51% წილის მფლობელი ტელეკომპანია „საქართველო“ დააყადაღა. ვინაიდან ამ კომპანიის მფლობელი, სააკაშვილის მეგობარი ყარამანაშვილები ტელეკომპანია საქართველოს 100% წილის, კეზერაშვილის ცოლისძმისთვის გადაცემას (ფორმალურად მიყიდვას) გეგმავდნენ.

როგორც ბატონი ქიბარის ადვოკატი აცხადებს, ეს გარიგება რამდენიმე მიზანს ისახავდა: პირველი — ე.წ. კეთილსინდისიერი შემძენისთვის წილების გადაცემა და მეორე და უმთავრესი — ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ფიქტიური ფინანსური ვალდებულებებით დატვირთვა. ხელშეკრულების თანახმად, ჩიქოვანს უნდა განეხორციელებინა „რუსთავი 2“-ში 6 მილიონი დოლარის ინვესტირება. ამ გარიგების საბოლოო მიზანი გახლავთ ის, რომ ქიბარ ხალვაშისთვის, „რუსთავი 2“-ის წილების დაბრუნების შემთხვევაში, ტელეკომპანიისგან მოთხოვნილ იქნას ამ ფიქტიური გარიგების ფარგლებში, (ფიქტიურად) გადაცემული თანხების დაბრუნება, რაც მომავალში შესაძლოა „რუსთავი 2“-ის გაკოტრების საფუძველი გამხდარიყო“.

„რუსთავი 2“ და ენმ-ს ერთსულოვნად ცდილობენ, ეს პროცესი მმართველ კოალიციას დაუკავშირონ და შეცდომაში შეიყვანონ, როგორც მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო საზოგადოება. სადაო არაა, რომ ეს ტელევიზია ნაციონალური მოძრაობის მფლობელობაშია. ისე ჩანს, ისინი სამართლებრივად მყარად არ გრძნობდნენ თავს, რისთვისაც დაჭირდათ ახალი „კეთილსინდისიერი“ მყიდველის გამოძებნა და რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ეს ახალი მფლობელი დავით კეზერაშვილის ცოლისძმა, დიმიტრი ჩიქოვანი აღმოჩნდა. ჩიქოვანი, რომელსაც წარსულში სწორედ კეზერაშვილის შემწეობით ჰქონდა სარეკლამო ბაზარი მონოპოლიზებული. ეს ოპერაცია ალბათ ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, რომ „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტი, სააკაშვილის ხელიდან ფორმალურად კეზერაშვილის ხელში გადასულიყო, „გათეთრებულიყო“ და სასამართლო დავის ხალვაშის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, არხს ისეთი ფინანსური ვალდებულებები დარჩენოდა, რომლის გამკლავებასაც ვერ შეძლებდა.

გარიგების ფიქტიურობაზე ისიც მეტყველებს, რომ ხელშეკრულებაში, 6 მილიონიდან გაწერილია მხოლოდ 3 მილიონი დოლარის საწესდებო კაპიტალში შეტანის გრაფიკი. დანარჩენი 3 მილიონი არ არის გაწერილი და მითითებულია, რომ მისი გადახდა უნდა მოხდეს „რუსთავი 2“-ის წერილობითი უწყების საფუძველზე. თუ მყიდველი 14 დღეში არ მისცემს მოთხოვნილ თანხას, თითო მილიონზე წილის 10% უნდა დააბრუნოს მყიდველმა, ანუ მთლიანი წილის 30%. აქედან გამოდის, რომ „რუსთავი 2“-ის 51%-ს „ყიდდნენ“ 400 000 დოლარად, ხელშეკრულების მიხედვით გამოდის, „მყიდველ“ და „გამყიდველ“ მხარეებს მთლიანი „რუსთავი 2“ (100% წილი) 800 000 დოლარად „შეუფასებიათ“. „რუსთავი 2“ 800,000 დოლარი ღირს? იმავდროულად, ძალიან საინტერესოა, რომ ეს ადამიანები ყიდიან და ყიდულობენ იმ ტელევიზიის წილებს (ტელეკომპანია „საქართველო“), რომელიც თავდაცვის სამინისტროს ხარჯებით იყო შექმნილი, იმედია თავდაცვის სამინისტროდან ამ ტელეკომპანიის გამოსყიდვის კანონიერების საკითხიც დროულად იქნება შესწავლილი.

ფაქტია, რომ „რუსთავი 2“ ცდილობს, ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერას და თან ხმამაღლა აცხადებს, რომ იბიექტურობას იცავს.

სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ქონება დააყადაღა

თავისუფალი მედია დახმარებას ითხოვს

„რუსთავი 2“-ის ქონება, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაყადაღებულია. არხის გენერალურმა დირექტორმა ეს ფაქტი, ყველა სასიცოცხლო ფინანსური წყაროს გადაკეტვის მცდელობად, პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეაფასა. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, ეს ფაქტი მედიაზე შეტევაა, მმართველი გუნდის წევრებისთვის კი — სამართლებრივი პროცედურა.

როგორც უნდა ვუწოდოთ, ფაქტი ფაქტად რჩება — ქიბარ ხალვაშის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლომ, „რუსთავი 2“-ის 51%-იანი წილის მფლობელის, შპს ტელეკომპანია საქართველოს წილებიც დააყადაღა. ხალვაშის ადვოკატის, პაატა სალიას განმარტებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი ტელეკომპანია „საქართველოს“ წილების გასხვისება იგეგმებოდა. კერძოდ, საჯარო რეესტრში 29 სექტემბერს წარდგენილი ხელშეკრულების შესაბამისად, ძმები, გიორგი და ლევან ყარამანაშვილები „საქართველოში“ მათი წილების (ჯამში 100%) დავით კეზერაშვილის ცოლისძმის, დიმიტრი ჩიქოვანისთვის, 400 ათას დოლარად გადაცემას გეგმავდნენ. ჩიქოვანი თავის მხრივ იღებდა ვალდებულებას, ტელეკომპანია „საქართველოს“ კუთვნილ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში 6 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი ან არაპირდაპირი ინვესტიცია/ფინანსირება განეხორციელებინა.

სალიასვე განმარტებით, „რუსთავი 2“-ს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების საფუძველზე დამატებითი ვალდებულებების აღება აკრძალული აქვს. სალიას განცხადებით, ქიბარ ხალვაში კიდევ ერთხელ საჯაროდ აფრთხილებს „რუსთავი 2“-ის ნომინალურ და რეალურ მფლობელებს, შეწყვიტონ არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ტელეკომპანიის მდგომარეობის დამძიმება, ტელეკომპანიის წილების ღირებულების მიზანმიმართული შემცირება და პოლიტიკური კონტექსტით მანიპულირება.

პოლიტიკური გადაწყვეტილება — მომხდარს ამგვარად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. მათი აზრით, ტელეკომპანია „საქართველოს“ ქონების დაყადაღება, პირდაპირ მიუთითებს, რომ მმართველი ძალისა და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის ინტერესია, „რუსთავი 2“ არ განვითარდეს და მუდმივად ჰქონდეს ფინანსური პრობლემები.

თავისუფალ მედიაზე ზეწოლად აფასებს სასამართლოს გადაწყვეტილებას „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიაც. საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე, გვარამიამ განაცხადა: **„არ დაგტოვებთ მარტო პირისპირ მატყუარა ხელისუფლებასთან, რომელსაც ქართული დემოკრატიისთვის დღეს განაჩენი გამოაქვს. ამის პირობას ნამდვილად გაძლევთ და მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრეზიდენტს, როგორც პირს, რომელიც ბოლომდე იცავს ჩვენ უფლებებს და პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში იმედგაცრუების მიზეზებს გვაძლევს, სანამ ჯერ კიდევ დროა, მოეგეთ გონს და მერე არ თქვათ, რომ არ იცოდით. დღეს ხართ იმ ადამიანების გვერდით, ვინც საქართველოში მანიაკალური ოლიგარქული რეჟიმის დამყარებას ცდილობს“.**

ნიკა გვარამია მოსახლეობას ასევე მოუწოდებს, „რუსთავი 2“-ს ბრძოლაში გვერდით დაუდგეს და სასამართლო პროცესებზეც იაროს. მხარდაჭერის, კიდევ ერთი ფორმა კი, იმ ანგარიშზე ნებისმიერი თანხის გადარიცხვაა, რომელიც ტელეკომპანიის დასახმარებლადაა გახსნილი და რომელზეც, გვარამიასვე თქმით, თითოეული ლარის დარიცხვაც, მნიშვნელოვანია.

„რუსთავი 2“-ის დასახმარებლად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ნებისმიერი რაოდენობის თანხა ჩარიცხოს შემდეგ ანგარიშზე: GE09TB1100000018467864.

„ვერსია“ ყოველთვის იდგა თავისუფალი სიტყვის სადარაჯოზე, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალშიც. „ვერსია“ სოლიდარობას უცხადებს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებას, ზოგადად, თავისუფალ მედიაზე, ნებისმიერი სახის ზეწოლა, ბუმერანგივით უკან მიუბრუნდება. ისტორიულად ასე იყო ყოველთვის და არასდროს ჰქონია იმას მნიშვნელობა, კონკრეტულად რა მეთოდებით შეიძლება დახურო ან დახურვის პირას მიიყვანო ესა თუ ის მედიასაშუალება.

ვერსიანიუსი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი საქართველოში აშშ-ს ელჩს შეხვდა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-მაიორი ვახტანგ გომელაური საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩს იან კელის შეხვდა.

შეხვედრისას, ხაზი გაესვა, პარტნიორობასა და სტრატეგიულ თანამშრომლობაზე დაფუძნებული, ორი ქვეყნის წარმატებული და შედეგიანი ურთიერთობების მნიშვნელობას.

მხარეებმა მიმოიხილეს თანამედროვე მსოფლიოში, რეგიონსა და საქართველოში არსებული საფრთხეები და ახლადშექმნილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და აშშ-ს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის შესაბამისი თანამშრომლობის განმტკიცება და გააქტიურება.

ვახტანგ გომელაურმა და იან კელიმ ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობის გამოკვეთილ პერსპექტივებზე.

საქართველოში აშშ-ს ელჩის, იან კელის განცხადებით: **„პირველი შეხვედრა მქონდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან. ეს იყო ძალიან პროაქტიური შეხვედრა. ჩვენ ვისაუბრეთ სტრუქტურულ რეფორმაზე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შეეხო. ჩვენ მიმოვიხილეთ ჩვენი კოოპერაცია. მე მადლობა გადავუხადე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ყველაფრისთვის, რასაც მისი სამსახური აკეთებს, გვეხმარება ჩვენ და იცავს ადამიანების უსაფრთხოებას. ვისაუბრეთ საზღვრის დაცვის ასპექტებზე და კონტრტერორიზმის საკითხებზე“.**

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით საგანელიძესთან

რა რეფორმას გააცარებს უწყებაში, რა შემთხვევაში შეამცირებს საკუთარ ხელფასს და დაათმობინებს თუ არა სახელმწიფოს ენერგეტიკულ პროექტებს ყოფილი დეპუტატი

საპარტნიორო ფონდის ბაზაზე საქართველოს განვითარების კორპორაცია შეიქმნება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ამბობს, რომ პოლიტიკიდან ისევ ბიზნესში კი არ ბრუნდება, უფრო დიდ პოლიტიკაში მიდის. მიაჩნია, რომ პოლიტიკა მხოლოდ პარლამენტი არ არის, რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გაცილებით მნიშვნელოვანი პოლიტიკაა, თუმცა პარლამენტში მოღვაწეობის პარალელურად, ნამდვილად არ ყოფილა იმ უწყებიდან შორს, რომლის ხელმძღვანელობაც პრემიერ-მინისტრმა ჩააბარა. სამიოდე წლის წინ, ამ სტრუქტურის ბაზაზე, სრულიად ახალი საფინანსო ინსტიტუტის შექმნის შესახებ კანონპროექტიც კი მოამზადა. ბოლო სამი წელია ჩინეთში მოგზაურობს და სწორედ ამ პერიოდში დარწმუნდა, რომ შესაძლებელია, საქართველოს ეკონომიკაც ისევე აღორძინდეს, როგორც 20 წლის წინ ჩინეთის ეკონომიკა განვითარდა; ოღონდ ამისთვის აუცილებელია სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, კარგი პარტნიორები და სახელმწიფოს პოლიტიკური ნება. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, საპარლამენტო უმრავლესობის ექსლიდერი და აწუკვე საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე ДАВИТ САГАНЕЛИДЗЕ, იმ გეგმებსა და რეფორმაზე საუბრობს, რომელსაც ახალ უწყებაში განახორციელებს. ამიტომ დაივიწყეთ ძველი გადაწყვეტილება, რომლითაც საპარტნიორო ფონდი სუვერენულ ფონდად უნდა გადაკეთებულიყო და შეეჩვიეთ აზრს, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოსაც ექნება ძლიერი საფინანსო ინსტიტუტი — საქართველოს განვითარების კორპორაციის (სახელწოდება ჯერ განსჯის საგანია) სახით.

— ბატონო დავით, საპარტნიორო ფონდი საკმაოდ მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, რა მიმართულებით და როგორ აპირებთ უკვე დაწყებული პროექტების განვითარებას?

— არც ერთი პროექტი, რომელიც უკვე დაწყებულია, არ შეფერხდება. ვერ ვიტყვი, რომ ფონდი ბევრ ბიზნესპროექტში მონაწილეობს, ამიტომ სხვადასხვა სეგმენტში, გაშლა და დივერსიფიცირებაა საჭირო. დაფინანსების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ენერგეტიკის სფეროზე მოდის, სადაც ფონდი ორ დიდ პროექტს — ნენსკრაჰესსა და გარდაბნის თბოელექტროსადგურს ახორციელებს. არადა, ენერგეტიკაში, სახელმწიფო სტრუქტურამ ყველაზე ნაკლებად უნდა იაქტიუროს, რადგან ჩვენდა სასიკეთოდ, ის ყველაზე მეტად საინტერესოა უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორებისთვის, ფონდებისთვის, საფინანსო ინსტიტუტებისა და ქართული ბანკებისთვის. შესაბამისად, ამ დარგში ჯანსაღი კონკურენცია უკვე არსებობს, ხოლო სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტების ამოცანა აუთვისებელ სფეროებში, ბიზნესის რეგიონულ ჭრილში განვითარებასა და იმ სექტორებში მონაწილეობა უნდა იყოს, სადაც კერძო ბიზნესი არ მიდის ან, რასაც ბანკები არ აფინანსებენ. მიმაჩნია, რომ დიდი ხვედრითი წილი, რომელიც საპარტნიორო ფონდს ენერგეტიკის სექტორში გააჩნია, სხვა სფეროებში უნდა გადანაწილდეს. შესაბამისად, პირველი ამოცანა ბაზრის კვლევა უნდა იყოს, რათა დავაკონკრეტოთ, რომელი სფეროა ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელსაც კერძო ბანკები არ აფინანსებენ და რომელია ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი.

ამავე კვლევის შედეგად რეგიონულ ჭრილში ბიზნესის განვითარებაც უნდა გამოიკვეთოს — უნდა დადგინდეს, რომელ რეგიონში უნდა იყოს განვითარებული ესა თუ ის ბიზნესი. სახელმწიფოს მკვეთრად განსხვავებული ინტერესები და ამოცანები გააჩნია, ვიდრე კერძო ბიზნესს. კარგად მესმის კერძო ბანკების, რადგან ისინი ორიენტირებულნი არიან მაღალ მოგებაზე, მაქსიმალურად დაზღვეულ და გარანტირებულ ბიზნესზე. მათთვის პრიორიტეტი არ არის, ის დარგები განავითარონ, რომლებიც ქვეყანას სჭირდება. ეს ვაკუუმი სწორედ სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტმა უნდა ამოავსოს, ასეთი ინსტიტუტი კი დღეს ძლიერი, საპარტნიორო ფონდია. სამწუხაროდ, დღეს ეს ფონდი ამ ფუნქციას ვერ ასრულებს და იმ სფეროში მონაწილეობს, სადაც კერძო სექტორს ისედაც დიდი ინტერესი აქვს, სწორედ ამის გადახედვას ვფიქრობ.

— საპარტნიორო ფონდში უკვე დაწყებულია რაჭის რეგიონის კვლევა ტურისტული შესაძლებლობების თვალსაზრისით. გაქვთ იმ დარგების მონახაზი, სადაც სახელმწიფო ნაკლებად ერევა, მაგრამ საპარტნიორო ფონდის მონაწილეობა მომგებიანი იქნება?

— დიახ, საპარტნიორო ფონდი იკვლევს რაჭის რეგიონს, რომელშიც აქტიურად ჩავებმები. არ ვიცი, კვლევა რა შედეგებს დადებს, მაგრამ წარმოშობით რაჭიდან გახლავართ და ინტუიციურად ვხვდები, რა უნდა გაკეთდეს იქ. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რაჭაში ტურიზმი უნდა იყოს, თუმცა შიდა მეურნეობების განვითარების გარეშე, ტურიზმი ვერ განვითარდება. ტურიზმი მხოლოდ ლამაზი ბუნების დათვალიერება არ არის, მას სჭირდება ინფრასტრუქტურის, მომსახურების, საკვები პროდუქტის ადგილობრივი წარმოების განვითარება, ასევე ისტორიული ძეგლების აღდგენა, ტურისტული ბილიკების მოწყობა და ასე შემდეგ. რაჭა მდიდარია კურორტებით, რომლებსაც სერიოზული მიხედვა სჭირდება სახელმწიფოსგან. სამწუხაროდ, კერძო სექტორმა ფეხი ვერ მოიკიდა რაჭაში, რადგან მოსახლეობა მცირეა. რაც მთავარია, მამისონისა და ცხინვალის გზების ჩაკეტვამ რაჭა ჩიხში მოაქცია და სწორედ ამიტომ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო, თუმცა ამ შემთხვევაში, გარკვეული დოტაციების გამოყოფას კი არა, ბიზნესისთვის საგადასახადო შეღავათებს ვგულისხმობ. მაგალითად, შეღავათით ისარგებლებს ის ბიზნესი, რომელიც შესაძლოა, მხოლოდ რაჭაში განვითარდეს. კვლევები უნდა ჩატარდეს, რაჭის რომელ სოფელში რა რესურსია, რათა კლასტერები შეიქმნას და ბიზნესის ინტერესი გაჩნდეს — მაინცდამაინც იქ წამოიწყოს საქმიანობა და არა მცხეთაში.

რაც შეეხება აუთვისებელ თემას, საქართველოში ასეთი ბევრია, მაგალითად, ზღვისპირა ქვეყანა ვართ და თევზჭერის კულტურა საერთოდ არ გვაქვს, არც თევზსაჭერი გემები გვაქვს და ჩვენი გამოცდილი მეთევზეებიც სხვებს ემსახურებიან. ქვეყანას თევზის იმპორტი სჭირდება მაშინ, როდესაც შეუძლია, ბიზნესი თვითონ აწარმოოს. არადა, ამ ბიზნესს იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ იწყებენ, რომ როდესაც მეწარმე, მეთევზე ბანკს მიმართავს, რათა თევზსაჭერი გემი შეიძინოს, ითვლება, რომ ეს „სტარტაპია“, რომელსაც არცერთი კომერციული ბანკი არ აფინანსებს. ბანკი ითხოვს, რომ ამ მეწარმის პირობითად, 5-წლიანი შრომის შედეგი ნახოს, ერთი-ორი გემი მაინც უნდა ჰყავდეს, რომ ბანკმა მესამე დაუფინანსოს, მაგრამ ის ორი გემი საიდან უნდა გააჩინოს, არავის ადარდებს. ამ სფეროში დიდი ვაკუუმია და სასურველია, სწორედ აქ ჩაერიოს სახელმწიფო, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შესაბამისი კვლევის შედეგად გაირკვევა, კონკრეტულად რომელი დარგისა და სფეროს განვითარება სჭირდება სახელმწიფოს.

მაგალითად, თუ სახელმწიფო მეწარმეს თევზსაჭერ გემს დაუფინანსებს, იმ დაჭერილ თევზს რომ სამაცივრე დანადგარები, გადამამუშავებელი და საკონსერვო წარმოებაც სჭირდება, ამას უკვე კერძო ბანკები სიამოვნებით დააფინანსებენ. გზა ჯერ სახელმწიფომ უნდა გაკვალოს და მას კერძო ბიზნესიც თავისთავად მიჰყვება. ამის ნაცვლად კი სახელმწიფო ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობს, სადაც მოგების მაღალი მარჟებია. რეალურად, სახელმწიფოს ყველაზე მეტი შემოსავალი აქვს იქ, სადაც სოციალურ პრობლემებს წყვეტს, როდესაც ადამიანების დასაქმების შედეგად, სოციალურ დახმარებებზე ხარჯი აღარ აქვს.

— გეთანხმებით, რომ დროა, ენერგეტიკული პროექტებიდან სახელმწიფო გამოვიდეს, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ საპარტნიორო ფონდის მიერ უკვე დაწყებული ნენსკრაჰესის პროექტი შეფერხდება, სახელმწიფო ამ პროექტს დატოვებს?

— არც ერთ კერძო, კონკრეტულ შემთხვევას არ განვიხილავ, რადგან ზედაპირულად ვიცი, როგორც ამ პროექტების ჩამონათვალი, ასევე საპარტნიორო ფონდის წილობრივი მონაწილეობა პროექტებში. თუმცა არც ისეა საქმე, თითქოს სახელმწიფო დღესვე გამოვა ენერგეტიკული პროექტებიდან. ის ვალდებულებები, რაც ხელშეკრულებებით აქვს აღებული საპარტნიორო ფონდს, შესრულდება. ამ ფონდის ზოგად სტრატეგიაზე ვსაუბრობ, მაგრამ ისე არ გამოვიდეს, თითქოს საპარტნიორო ფონდი ან ის სტრუქტურა, რომელსაც ფონდის რეორგანიზაციის შედეგად მივიღებთ, საერთოდ აღარ მიიღებს ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობას. სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ტიპის პროექტებში ინვესტორებისთვის მეტი გარანტიაა და ფონდიც სწორედ ამ მიმართულებით გააჩენს ინტერესს, თუმცა, როგორც კი პროექტი დამოუკიდებლად ამუშავდება და ბიზნესი დაიქოქება, სახელმწიფო პროექტს დატოვებს.

— საპარტნიორო ფონდის რეორგანიზაცია თქვენმა წინამორბედმა, ირაკლი კოვზანაძემ დაიწყო — ჯერ სუვერენულ ფონდად გადაკეთდებოდა, საბოლოოდ კი განვითარების სახელმწიფო ბანკად ჩამოყალიბდებოდა, რა სტადიაშია ეს პროცესი?

— გმადლობთ, ამ თემას რომ შეეხეთ, რადგან სამი წელია ამ საკითხზე ვკამათობთ. მიმაჩნდა, რომ საქართველოში ძლიერი საფინანსო ინსტიტუტი აუცილებლად უნდა შექმნილიყო და ერთ-ერთ ვარიანტად საქართველოს განვითარების ბანკი მესახებოდა.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

შსს-მ კომპიუტერული მონაცემების უნებართვოდ შეცვლის და ქონებრივი დაზიანების ფაქტზე თურქეთისა და სომხეთის მოქალაქეებს ბრალი წაუყენა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კომპიუტერული მონაცემების უნებართვოდ შეცვლისა და ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე — 1995 წელს დაბადებული ბარის ა. და 1981 წელს დაბადებული ზეკი ა, ასევე, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული არმინე დ. ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა კომპიუტერული მოწყობილობები ე.წ. სიმ-ბოქსები შეიძინეს, რომლებიც თბილისსა და მარნეულში, დროებით საცხოვრებელ ბინებში განათავსეს. აღნიშნულ კომპიუტერულ მოწყობილობაში, რომელშიც ინტერნეტ-ტრაფიკის მეშვეობით საერთაშორისო ზარები შედიოდა, ბრალდებულები შპს „მობიტელის“ სიმ-ბარათებს ათავსებდნენ. სიმ-ბარათების მეშვეობით, ინტერნეტ-ტრაფიკით მიღებული ზარები საბოლოო ობიექტთან როგორც ლოკალური ზარი, ისე შედიოდა. ე.წ. სიმ-ბოქსი ზარის მიმღებს აწვდიდა იმ ნომრის მონაცემებს, რომლებიც ე.წ. სიმ-ბოქსში იყო მოთავსებული და არა ზარის წამომწყების ნომერს. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია, კომპიუტერული მონაცემების შეცვლის შედეგად, საერთაშორისო ზარების მომსახურების კანონით დადგენილი ქვედა ზღვრული ტარიფის ნაცვლად, გაცილებით ნაკლებს — ლოკალური ზარებისთვის განსაზღვრულ მინიმალურ თანხას იღებდა. ჩადენილი ქმედებით ბრალდებულებმა შპს „მობიტელს“ ჯამში 11 620 ლარის მატერიალური ზარალი მიაყენეს.

სამართალდამცველებმა, თბილისში — თურქეთის ორი მოქალაქის, ხოლო მარნეულში — სომხეთის მოქალაქის დროებითი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: ე.წ. სიმ-ბოქსები, შპს „მობიტელის“ კუთვნილი, დიდი რაოდენობით სიმ-ბარათი, თანხის დაუფლების ამსახველი დოკუმენტაცია და სხვა ჩანაწერები.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ კომპიუტერული მონაცემების უნებართვო შეცვლის და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 286-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით საგანელიძესთან

მე-3 გვერდიდან

ვამბობდი კიდეც, რომ ეს ინსტიტუტი ნულიდან კი არა, რომელიმე საფინანსო ჯგუფის, ამ შემთხვევაში, საპარტნიორო ფონდის საფუძველზე უნდა შექმნილიყო, თუმცა განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობდა სუვერენული ფონდის შექმნის სახით და სხვა ვარიანტებიც იყო. აზრთა სხვადასხვაობა იყო ჩვენსა და ოპოზიციონერ კოლეგებს, ასევე უშუალოდ ჩვენს გუნდში, ეკონომიკის ექსპერტებს და რაც მთავარია, დიდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორისაც; მაგალითად, მსოფლიო ბანკი მხარს უჭერდა საქართველოს განვითარების ბანკის შექმნას, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) კი პირიქით, ამ საკითხს დიდი სიფრთხილით განიხილავდა. საპარტნიორო ფონდი, არსით, შინაარსით, წესდებით, უფლება-მოვალეობებითა და საშუალებებით, არ არის ისეთი საფინანსო ინსტიტუტი, რომელთანაც მსხვილი საფინანსო ინსტიტუტები პარტნიორობაზე წამოვლენ. სხვადასხვა ქვეყნების განვითარების ბანკებსა და დიდ საფინანსო ფონდებს ურჩევნიათ, საქმიანი ურთიერთობა თავისივე რანგის სტრუქტურასთან დაამყარონ. როდესაც კამათმა ისეთი ფორმა მიიღო, გადაწყვეტილების მიღება გაჭირდა, მთავრობამ ერთ-ერთ ნეიტრალურ მხარეს, გერმანიის განვითარების ბანკს — KFW-ს დაავალა, შეესწავლა, რამდენად სჭირდებოდა ამ ტიპის ინსტიტუტი საქართველოს და თუ სჭირდება, როგორი უნდა იყოს. KFW-მ 350 000 ევრო გამოყო და რამდენიმე თვეში სერიოზული კვლევა მოამზადა, სადაც აღწერილია საქართველოს განვითარების ისტორია, პრობლემები, მიზნები, ამოცანები და ის გზები, რომლითაც ჩვენი ეკონომიკა უნდა განვითარდეს. დასკვნაში პირდაპირ ჩაწერეს, რომ საქართველოს აუცილებლად სჭირდება ძლიერი საფინანსო ინსტიტუტი, რომელმაც უნდა აიღოს ის ფუნქციები და ვალდებულებები, რაზეც ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვსაუბრობდი; ისიც დაწერეს, რომ ასეთი ინსტიტუტი სწორედ საპარტნიორო ფონდის ბაზაზე უნდა შეიქმნას. შესაბამისად, დასვეს საკითხი — თუ სახელმწიფოს საპარტნიორო ფონდის ბაზაზე შექმნილი ძლიერი საფინანსო ინსტიტუტი სჭირდება, მზად არიან, დაიწყონ კვლევის მეორე ეტაპი, სადაც შეისწავლიან, როგორი უნდა იყოს ეს ინსტიტუტი, მისი სტრუქტურა, ფუნქციები, ამოცანები, როგორი უნდა იყოს მისი სამეთვალყურეო საბჭო, რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ხელისუფლებასთან, რამდენად დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომელმა სტრუქტურამ უნდა გააკონტროლოს... KFW-ს კვლევით, ამ ინსტიტუტს საქართველოს განვითარების ბანკი ან საქართველოს განვითარების კორპორაცია უნდა ერქვას. 10 დღის წინ, ეკონომიკურ საბჭოზე გავიტანეთ ეს დოკუმენტი და საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, KFW-მ მეორე ეტაპის სამუშაოები გააგრძელოს. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ გახდა საინტერესო საპარტნიორო ფონდში ჩემი დანიშვნა. როდესაც დავინახე, შესაძლოა, რეალურად გაკეთდეს ის, რასაც სამი წელია ვამტკიცებ, რათა საშუალება მოგვეცეს საკმაოდ მსხვილ ინვესტიციებზე გავიდეთ, უკვე საინტერესო რეფორმაა და ეს გამოწვევაც სიამოვნებით მივიღე.

— საპარტნიორო ფონდი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების აქციებს განკარგავს, მათ შორის „სახელმწიფო ელექტროსისტემის“, „გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“, „საქართველოს რკინიგზის“... რებრენდინგის შემდეგ, ეს ქონება განვითარების ბანკს ან კორპორაციას დარჩება?

— აქაც განსხვავებული მოსაზრებები არსებობს... როდესაც საპარტნიორო ფონდის სუვერენულ ფონდად გარდაქმნაზე ვსაუბრობდით, დაისვა კითხვა — სახელმწიფოს ძირითადი აქტივებიც უნდა გადაყვეს თუ ცალკე, დამოუკიდებელ სტრუქტურებად ჩამოყალიბდეს? პოზიცია მაქვს, მაგრამ ამაზე საუბარს არ დავიწყებ, მსჯელობის საგნად დავტოვოთ. თუმცა მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტი, განვითარების კორპორაცია იქნება თუ ბანკი, მაშინაა მისაღები, საინტერესო და ანგარიშგასაწევი, როდესაც ძლიერ ფუნდამენტზე დგას. ქაღალდზე დაწერილი საფინანსო ინსტიტუტი, თუ ძლიერი აქტივები, ძლიერი საწესდებო კაპიტალი არ აქვს, ძლიერი პარტნიორი ვერ იქნება. მიხვდით, ხომ, ჩემს პოზიციას? მაქსიმალურად ვეცდები, იმ უწყებას, რომელსაც უნდა ვუხელმძღვანელო, ძლიერი ბერკეტი ჰქონდეს, რათა სხვა საფინანსო ინსტიტუტებს ესაუბროს. თუ დავასუსტებთ და ყველა აქტივს გამოვაცლით, ხელში უინტერესო სტრუქტურა შეგვრჩება.

— მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტი, რომელზეც საპარტნიორო ფონდი მუშაობს, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაა. ჩინეთში პრემიერ-მინისტრის ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ამ პორტის სავარაუდო ინვესტორი უმსხვილესი ჩინური კომპანია იქნება. როგორ გესახებათ ამ პროექტის განვითარება და ჩინური კომპანიის გარდა, კიდევ რომელ კომპანიებთან აწარმოებს საქართველო მოლაპარაკებას?

— ჯერჯერობით, ეს პროექტი დამტკიცებული არ არის და შესაბამისად, საპარტნიორო ფონდი მასზე ვერ იმუშავებს. ინტერესთა გამოხატვის ტენდერში 16-მდე კომპანია მონაწილეობდა. საბოლოოდ, ორი კომპანია დარჩა — ამერიკული „კონტი ჯგუფი“, რომელსაც „თიბისი ჯგუფი“ წარმოადგენს და უმსხვილესი ჩინური კომპანია CRCC. უახლოეს მომავალში, მათ შორის გამარჯვებული გამოიკვეთება და სავარაუდოდ, ამ დროს ჩაერთვება საპარტნიორო ფონდიც. მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის ანაკლიის პორტის პროექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტურია, რომელმაც საგრძნობლად უნდა შეცვალოს საქართველოს როლი და ფუნქციები რეგიონში, უნდა გაზარდოს საქართველოს ავტორიტეტი სატრანსპორტო გადაზიდვებში, რადგან საუბარია 100 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვაზე. შესაძლოა, შესანიშნავი პორტი ააშენო, მაგრამ თუ ოპერატორი არ გეყოლება და ტვირთებმა არ იმოძრავა, ასეთი პორტი გინდ გქონია და გინდ არა. ამდენად, სახელმწიფოს ინტერესი თავიდანვე ის უნდა იყოს, რომ ამ პორტში დიდი გადამზიდავი კომპანიები შემოვიდნენ, რომლებიც უზარმაზარ ტვირთებს აღმოსავლეთიდან დასავლეთში, ევროპა-აზიის ხაზზე ამოძრავებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესში ვინაცვლებ, პოლიტიკოსი ვარ, ამ პორტს იმხელა მნიშვნელობა აქვს და ისეთი საკვანძო წერტილი იქნება რეგიონში, რომ ეკონომიკურის გარდა, სერიოზული პოლიტიკური დანიშნულებაც ექნება. საკმაოდ სერიოზული დაფიქრება გვმართებს ინვესტორებთან და ბიზნესმენებთან ერთად, რომ ანაკლიის პორტში პოლიტიკური პრობლემები არ შეიქმნას და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, გარკვეული ბალანსი არსებობდეს. ჩემთვის პრიორიტეტულია, რომ ორივე მხარე — ამერიკელები და ჩინელები შეთანხმდნენ და ერთობლივად შექმნან დიდი კონსორციუმი, რომელიც ანაკლიის პორტს მართავს. მეტიც, ამ კონსორციუმში მესამე მხარე, ანუ საქართველოც უნდა ჩაერთოს, რომელიც მას შეკრავს და პროექტსაც დაამენეჯმენტებს.

— ბატონო დავით, საკმაოდ საინტერესო იდეაა, მაგრამ თუ ჩინელებისა და ამერიკელების რთულ პოლიტიკურ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, კონსორციუმს როგორ შექმნიან, თანაც საქართველოში?

— არა, რატომ? მიუხედავად იმისა, რომ ჩინელები და ამერიკელები სერიოზული კონკურენტები არიან, ხშირად ისინი თვითონვე აანალიზებენ, რომ დგება მომენტი, როდესაც მათი დაპირისპირება კი არა, გადაფარვაა ყველაზე საინტერესო. ჩვენთვის საინტერესო ის იქნება, რომ მათი ინტერესები სწორედ ანაკლიის პორტში გადაიკვეთოს, რათა ამ პორტში სწორედ მათი ოპერატორები ჩაერთონ. თუმცა ეს ჩემი პოზიციაა, რომელიც გულახდილად გაგიზიარეთ.

— „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ კვლევის შედეგად გაირკვა, რომ 2014 წლის მარტის მონაცემებით, საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარის, ირაკლი კოვზანაძის თანამდებობრივი სარგო 323 250 ლარი იყო, ასეთივე მაღალი ხელფასები ჰქონდათ საპარტნიორო ფონდის სტრუქტურაში შემავალ სხვა სახელმწიფო კომპანიებსაც. საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარის ხელფასს თქვენი კოლეგა ოპოზიციონერი დეპუტატებიც გამოეხმაურნენ...

— მნიშვნელოვანი კითხვაა, რადგან დღეს ამ საკითხზე ბევრს საუბრობენ და მოსახლეობის ინტერესიც დიდია. პარლამენტის ტრიბუნიდან არაერთხელ აღმინიშნავს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ანაზღაურების გარკვეული გრადაციები და რანგირების პრინციპი უნდა არსებობდეს, უნდა ვიცოდეთ, ვინაა ქვეყანაში პირველი რანგის მოხელე და ასე შემდეგ. როდესაც საქართველოს პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი ავირჩიეთ, მე გახლდით ინიციატორი, რომ არ შეიძლებოდა, საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტარის მსგავსი ხელფასი ჰქონოდა და მისთვის მაღალი ანაზღაურება მოვითხოვე. რაც შეეხება უშუალოდ კითხვას, ვიდრე რამდენიმე დღის წინ ჩვენმა ოპოზიციონერმა კოლეგებმა არ განაცხადეს, რომ კოვზანაძეს მაღალი ხელფასი ჰქონდა და დათო საგანელიძე ამიტომ წავიდა ფონდშიო, არ ვიცოდი, რა ოდენობის ხელფასი ჰქონდა საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარეს. სწორედ მაშინ გამოვითხოვე ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით და გარწმუნებთ, მას ნამდვილად არ ჰქონია 30 000-ლარიანი ხელფასი, რაზეც აკაკი ბობოხიძე და ხათუნა გოგორიშვილი საუბრობდნენ. უფრო ნაკლები ჰქონდა. თუმცა სწორი იქნებოდა, აკაკი ბობოხიძეს, ხათუნა გოგორიშვილსა და აკაკი მინაშვილს, ეს ყველაფერი 2011 წელს გახსენებოდათ, როდესაც საპარტნიორო ფონდი შეიქმნა და რომლის პირველი ხელმძღვანელის, ნიკა გილაურის ხელფასი, ორჯერ აღემატებოდა კოვზანაძის ანაზღაურებას.

ბობოხიძემ და გოგორიშვილმა ეს განცხადებები მხოლოდ იმის შემდეგ გააკეთეს, როდესაც ვთქვი, რომ შესაძლოა, ეს ჩემს თანამშრომლებს გულზე მოხვდეთ, მაგრამ როდესაც საპარტნიორო ფონდში მივალ, გადავხედავ დოკუმენტებს და თუ ძალიან მაღალი, არაადეკვატური და ნამდვილად უხერხული ხელფასებია, პირველ რიგში, ჩემს ხელფასს შევამცირებ, შემდეგ კი სხვებსაც შევუმცირებ-თქო. შესაბამისად, ჩემს ოპოზიციონერ კოლეგებს მათივე საყვარელი სიტყვებით ვთხოვ, პოლიტიკურ კეკლუცობას თავი დაანებონ, რადგან დათო საგანელიძეს მათგან ჭკუის სწავლება ნამდვილად არ სჭირდება!

„უცნობი“ და 2 მილიონი და პატარკაციშვილების 10 მილიონი — რა ხდება „მაესტროში“

რა ხდება ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ, რატომ გააქტიურდა გიორგი გაჩეჩილაძე, იგივე „უცნობი“, რა წარმომავლობა აქვს გაჩეჩილაძის მიერ ნახსენებ 10 მილიონს, ცდილობდნენ თუ არა პატარკაციშვილები „მაესტროს“ ყიდვას და ვინ იყო მოლაპარაკებებში შუამავალი? — ამ საკითხებზე, კონფიდენციალურმა წყარომ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პატარკაციშვილების მიერ „მაესტროს“ ყიდვის შესახებ ლონდონში 2014 წლის ზაფხულში მართლაც შედგა მოლაპარაკებები, ლონდონური შეხვედრის ინიციატორი კი ლევან გაჩეჩილაძე იყო. მოლაპარაკებებში მონაწილეობდა პატარკაციშვილის შვილი ლიკა პატარკაციშვილი, პატარკაციშვილების ბიზნესის მმართველი ირაკლი რუხაძე და კიდევ რამდენიმე პირი.

„მაესტროს“ გაყიდვის თემაზე 2015 წელსაც შედგა შეხვედრა. მისი ინიციატორი აქაც ლევან გაჩეჩილაძე იყო, თუმცა, როგორც წყარო ამბობს, პატარკაციშვილები დაინტერესებულები არ იყვნენ „მაესტროს“ ტექნიკის ან უძრავ-მოძრავი ქონების შესყიდვით, მათი ინტერესის სფერო მხოლოდ მაუწყებლობის ლიცენზია იყო. ინფორმაციის თანახმად, მყიდველი მხარის ინიციატივა ტელეკომპანიის 75% წილის მფლობელთათვის საეჭვო გახდა და გარიგება არ შედგა.

წყაროს ინფორმაციით, მოლაპარაკების და ჩაშლილი გარიგების შესახებ შეხვედრის უშუალო მონაწილეთა გარდა ინფორმირებულია არხის გენერალური დირექტორი. ბაია გადაბაძისთვის ჩაშლილი მოლაპარაკებები და „იმედთან“ დაკავშირებული სკანდალი, ამ ფონზე კი გიორგი გაჩეჩილაძის, იგივე „უცნობის“ გააქტიურება, წყაროს ინფორმაციით, დროში საეჭვოდ ემთხვევა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლის შემდეგ გია გაჩეჩილაძეს „მაესტროში“ წილის ღირებულება მთლიანად აუნაზღაურდა. წყარო ამტკიცებს, რომ ამის შემდეგ „უცნობმა“ არაერთხელ მოითხოვა თანხის დამატება მაკა ასათიანისგან. თუმცა, მისთვის უცნობია, მოხდა თუ არა თანხის დამატება. გაჩეჩილაძე „მაესტროში“ 50% წილს ფლობდა. წილის გაყიდვაში მას აღებული აქვს 2 მილიონი დოლარი.

„25% გიორგი გაჩეჩილაძემ მაკა ასათიანზე 2011 წლის 26 აპრილს გადააფორმა. ეს ის პერიოდია, როდესაც „მაესტროს“ წილებს ყადაღა არ ედო. ამავე წლის 25 ნოემბერს, მან წილის მეორე ნაწილი 25% ერთწლიანი გენერალური მინდობილობით და წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით გადასცა ბაჩო კიკაბიძეს, რადგან ამ დროისთვის „მაესტროს“ წილები უკვე დაყადაღებული იყო. შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ვადის გასვლის და ყადაღის მოხსნის შემდეგ მას უნდა გადაეფორმებინა თავისი წილი, თუმცა ერთი წლის შემდეგ მან უარი განაცხადა ვადის გაგრძელებაზე და დათმობილი წილის გადაფორმებაზე“, — აცხადებს წყარო და იმასაც დასძენს, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მოიპოვება. მათი მიხედვით, ფიქსირდება წილის ნასყიდობა ნომინალურ თანხაში და ასევე ერთწლიანი მინდობილობა ბაჩო კიკაბიძეზე.

„გიორგი გაჩეჩილაძეს აქვს შეზღუდვა წილის გაყიდვაზე — მას არ აქვს უფლება, წილი გაყიდოს დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე. შესაბამისად, ვიდრე გაჩეჩილაძე წილს გაასხვისებდა, შედგა პარტნიორთა კრება, სადაც გადაწყდა, რომ დათმობილი 25%-იანი წილი სხვებზე გადანაწილდა — 7,5% ღლონტზე, 7,5% ლევან ჩიკვაიძეზე და ამდენივე გიორგი ებრალიძეზე. 2,5% კი — ეკატერინე აკობიაზე“, — აცხადებს კონფიდენციალური წყარო. მისივე ინფორმაციით, საჯარო რეესტრში იყო მცდელობა, რომ გია გაჩეჩილაძისთვის წილის გაყიდვაზე არსებული შეზღუდვა მოხსნილიყო, თუმცა, ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და უცნობისთვის შეზღუდვა კვლავ ძალაშია. ამავე წყაროს ინფორმაციით, ამ დრომდე გაურკვეველია იმ 10 მილიონის წარმომავლობა, რომლის „მაესრტოში“ ჩადებასაც გიორგი გაჩეჩილაძე გეგმავს. არ არის გამორიცხული, ამ 10 მილიონის უკან პატარკაციშვილების ოჯახი იდგეს. ეს ინფორმაცია, რამდენიმე დღის წინ მოგვაწოდეს. კომენტარისთვის დავუკავშირდით გიორგი გაჩეჩილაძეს, რომელმაც განგვიცხადა, უცხოეთში ვიმყოფები და მოგვიანებით დამიკავშირდითო, თუმცა, მასთან დაკავშირება ვეღარ მოხერხდა. ჩვენს სატელეფონო ზარებს არც არხის დირექტორი პასუხობს.

„პირველი რადიო“

„ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვა საქართველოს მთავრობის ურყევი მიზანია“

ზვიად ნიკოლაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, 1 ოქტომბერს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე სიტყვით წარსდგა. მთავრობის მეთაურმა საკუთარ გამოსვლაში ჩვენი ქვეყნის მიღწევებსა თუ პრობლემებზე ისაუბრა და პრაქტიკულად, ყველა მტკივნეულ საკითხს შეეხო. მას არც ქვეყნის პრიორიტეტები დაუმალავს და არც ის გამორჩენია, რომ ჩრდილოელი მეზობელი კვლავ აგრძელებს ანექსიას და საქართველო მოლაპარაკებებს ტერიტორიების დათმობის ფასად არ აპირებს.

„საქართველო არის პატარა ქვეყანა, რომელსაც აქვს დიდი გული და კიდევ უფრო დიდი ოცნებები. ჩემს ოცნებას ბოლოს გეტყვით“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. პრემიერის სიტყვის ბოლოს გამხელილ ოცნებას, ბარემ აქვე მოგახსენებთ: **„ჩემი ოცნებაა, საქართველოში მცხოვრებ ყველა პატარას ჰქონდეს განათლების მიღების სურვილი და ამის შესაძლებლობა და იცოდნენ, რომ მათი მომავალი არის დაცული და ძლიერი“.**

პრემიერის განცხადებით, შრომისმოყვარე ქართველებს, რომლებსაც არ აქვთ უცხოეთში მოგზაურობის შესაძლებლობა, მთავრობა მსოფლიო დონის განათლებას საქართველოში სთავაზობს. ირაკლი ღარიბაშვილი ამაყობს, რომ მთავრობამ, აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან თანამშრომლობით, წამოიწყო ახალი პროგრამა, რომელიც ქართველ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სან-დიეგოს უნივერსიტეტის ამერიკული სამეცნიერო ხარისხი ინჟინერიის დარგში ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღონ: **„განათლება არის სახელმწიფოებრივი განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო. პირადად ჩემთვის, კარგად არის ცნობილი კარგი განათლებისა და უცხოეთში სწავლის ფასი. მინდა, ქართველ ახალგაზრდებსაც ჰქონდეთ ასეთი შესაძლებლობა. ამ მიზნით, ჩვენ წამოვიწყეთ ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა აფინანსებს ქართველი სტუდენტების განათლებას უცხოეთში. სანაცვლოდ, ისინი ბრუნდებიან სამშობლოში და იყენებენ შეძენილ უნარებს ქვეყნის სასიკეთოდ“.**

პრემიერს არც ქართველი მორაგბეები დავიწყებია, რომლებიც დღეს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ახალ ზელანდიას ხვდებიან. **„ჩვენი ქვეყანა ამაყობს თქვენით!“** — ამგვარად მიმართა ირაკლი ღარიბაშვილმა მორაგბეებს.

ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში 90 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, სოფლის მეურნეობის, წარმოების, ტურიზმისა და ენერგეტიკის ჩათვლით. მისივე განცხადებით, ეკონომიკური თავისუფლება წარმოადგენს განვითარების გეგმის ქვაკუთხედს, რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდის მიღწევა, მმართველობის ინსტიტუტების განმტკიცება, მეტი სამუშაო ადგილის შექმნა და ხალხისთვის მეტი შესაძლებლობის მიწოდება.

„ზრდის უზრუნველსაყოფად ჩვენ ვაქცევთ საქართველოს ისეთ ადგილად, სადაც ბიზნესის წარმოება ხელსაყრელია და უცხოური ინვესტიციების განხორციელება — მიმზიდველი. საქართველოში ბიზნესის წარმოება მარტივია. უცხოური და ადგილობრივი ბიზნესები თავისუფლად ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას კონკურენტულ გარემოში, რომელშიც კერძო საკუთრების უფლების დაცვა გარანტირებულია. მსოფლიო ბანკის რეიტინგების თანახმად, ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით საქართველო მე-15 ადგილზეა მსოფლიოში. 2014 წელს, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 87 პროცენტით გაიზარდა, რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელია“, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო ჩამოყალიბდა, როგორც წამყვანი ტურისტული ცენტრი და მნიშვნელოვანი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარების ადგილი. **„მსოფლიოში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს აქვს ყველაფერი — უმშვენიერესი პლაჟები და გამაოგნებელი სათხილამურო კურორტები, დახვეწილი კულინარიული ტრადიციები, განსაკუთრებული ღვინო, უნიკალური ისტორიული ძეგლები და მსოფლიო დონის სასტუმრო სექტორი“,** — აღნიშნა მან და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თბილისმა ზაფხულში ორ უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლა: ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალსა და უეფა-ს 2015 წლის სუპერთასის გათამაშებას.

მსოფლიოში არსებული კრიზისის ფონზე, საქართველოს ხელისუფლება უარს არ ამბობს ჯანდაცვაში დაწყებულ რეფორმებზე: **„მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენ დავნერგეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და გავაორმაგეთ სოციალური დახმარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის ფარგლებში ჩვენ, C ჰეპატიტთან ბრძოლის ახალი, ინოვაციური კამპანიის მეშვეობით, გადავარჩენთ 200 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლეს. ჩვენ ვახორციელებთ ქართული დემოკრატიის განმტკიცებას. ჩვენი ხალხი ითხოვს და იმსახურებს ძლიერ დემოკრატიას და გულისხმიერ მთავრობას. ჩვენ შევქმენით მმართველობის ისეთი სისტემა, რომელიც უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, ვიდრე ოდესმე“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შესახებაც ისაუბრა, რომლებმაც, მისი თქმით, საერთაშორისო დამკვირვებელთა დადებითი შეფასება დაიმსახურა. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მას ასევე ეამაყება საქართველოს ისტორიაში პირველი ამომწურავი გრძელვადიანი სტრატეგია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და ანტიდისკრიმინაციული კანონი. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ყველა მოქალაქის უფლებათა დაცვა საქართველოს მთავრობის ურყევი მიზანია.

4 წლის ვახტანგ (ვატო) კაშიას დაუდგინდა ლეიკემიის მწვავე ფორმა. სასწრაფოდ ესაჭიროება უცხოეთში მკურნალობა, რისთვისაც საჭიროა 130 000 ევრო. გთხოვთ, ყველამ ერთად შევუნარჩუნოთ პატარა ვატოს სიცოცხლე!

გთხოვთ, გადმორიცხოთ თანხა „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე.

მიმღები: ნიკოლოზ კაშია
ა/ნ: 530711188767458000
ტელ: 577 53 51 68
მადლობა თანადგომისთვის!

საქართველოს საელჩოში გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის დროს ინციდენტი მოხდა

პრეზიდენტს ამერიკაში მცხოვრებმა ავღანეთის ომის ვეტერანმა დახურულ კარს მიღმა შეხვედრა სთხოვა. მოგვიანებით დაპირისპირება მას შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელთან მოუვიდა.

მომხდართან დაკავშირებით განმარტებები თავად ვახტანგ კაპანაძემ გააკეთა: **„ადამიანია და აღელდა გასაგები მიზეზების გამო, მოთხოვნები არ ჰქონდა, მას ჰქონდა პრეტენზია, რომ თავდაცვის უწყება ძველი დროიდან არ მოექცა კარგად. ჰქონდა პრეტენზია, რომელიც არ იყო გამოკვლეული დღემდე, მისი ყველა პრეტენზია 2010-2011 წლიდან ინსპექციას აქვს გადაცემული, რომელიც იძიებდა“.**

„პირველი“

კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე საყოველთაო სახალხო განხილვები იწყება

კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე საყოველთაო სახალხო განხილვები დაიწყო. ცვლილებებზე ბათუმსა და ოზურგეთში იმსჯელებენ. უმრავლესობის 80 წევრის ხელმოწერით მომზადებულ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები საარჩევნო სისტემის შეცვლას გულისხმობს. აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით პარლამენტის 150 მანდატი პროპორციული სისტემით მრავალმანდატიან ოლქებში უნდა განაწილდეს. ამავე ცვლილებებით გათვალისწინებულია საარჩევნო ბარიერის 5 პროცენტიდან 4 პროცენტამდე დაწევა. გარდა ამისა, უქმდება მუხლი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში დაბალი შედეგის მქონე ბარიერგადალახულ სუბიექტს პარლამენტში ფრაქციის შექმნის საშუალებას აძლევს.

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედება მისი დამტკიცების შემთხვევაში, 2016 წლის შემდგომი არჩევნებისთვის არის დაგეგმილი.

საჯარო რეესტრის სააგენტო ქართული ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნაზე მუშაობს

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ქართული ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნაზე მუშაობს. უკვე შერჩეულია 600 ქართულენოვანი, უნიკალური კოდის მქონე პირობითი ნიშანი, რომელიც საბჭოთა პერიოდის შემდეგ საჯარო რეესტრის მიერ პირველად შეიქმნა. ასევე მზად არის პირველი ქართული კლასიფიკატორი, ციფრული სტანდარტი Georgia-10 000 STYLE, რომლის საშუალებითაც ციფრული ტოპოგრაფიული რუკის კარტოგრაფიული გაფორმება მოხდება.

ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული პროექტთან „რუკები მიწის მდგრადი მართვისთვის — საქართველოს ორთოფოტო“, რომელსაც საჯარო რეესტრი ნორვეგიის კარტოგრაფიის ორგანოსთან (STATENS KARTVERK) ერთად ახორციელებს. ქართული ციფრული ტოპოგრაფიული რუკის საფუძვლად სწორედ ამ პროექტის შედეგად მიღებული თანამედროვე სტანდარტის ორთოფოტოები გამოიყენება. ამჟამად დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომლის ორთოფოტოები უკვე მზადაა, საჯარო რეესტრის თანამშრომლები ინფორმაციას ადგილზე ამოწმებენ, მონაცემებს ადარებენ, ხარვეზებს ასწორებენ და კონკრეტულ არეალებს ხაზავენ. ძირითადი აქცენტი პირველ ეტაპზე დასახლებულ პუნქტებზე კეთდება. შესრულებული სამუშაოების პარალელურად, ტოპოგრაფიული რუკა ეტაპობრივად საჯარო რეესტრის ვებგვერდზე www.napr.gov.ge განთავსდება და სახელმწიფო უწყებების, ბიზნესკომპანიებისა და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. რუკაზე მუშაობის საბოლოოდ დასრულება 2022 წლისთვისაა დაგეგმილი, თუმცა მისი განახლება მუდმივად გაგრძელდება.

„ინტერპრესნიუსი“

ბაჩო ფიფია: „მაწანწალა ძაღლების თავშესაფარი 180 000 ლარით ფინანსდება... გათანაბრებას არ ვითხოვთ, უბრალოდ, მიახლოება გვინდა“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რა პრობლემები აქვთ და რატომ არ აინტერესებს სახელმწიფოს აფხაზეთის ომის ვეტერანი, ინვალიდი ფეხბურთელები

ინვალიდ ფეხბურთელთა თამაშის პრაქტიკა მსოფლიოში წლების წინ დაინერგა, საქართველოში კი წელს, ინვალიდ-ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგის ორგანიზებით, მესამე ჩემპიონატი ჩატარდა. წელს ჩემპიონატში ბათუმის, ზუგდიდის, ქუთაისის, ზესტაფონის, გორისა და თბილისის გუნდები მონაწილეობდნენ. ვეტერანი ფეხბურთელები და ლიგის მესვეურები საქართველოს თასისა და სუპერთასის გათამაშებასაც გეგმავენ. ამჯერად, გამარჯვებული თბილისის გუნდი გახდა, მეორე და მესამე ადგილზე კი გორისა და ზუგდიდის გუნდები გავიდნენ. ინვალიდ სპორტსმენებს ორგანიზატორებმა თასები, მედლები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. ჩემპიონატის დახურვას რამდენიმე უწყების, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელიც ესწრებოდა. მატჩის შემდეგ ვეტერანებს ხელიც ჩამოართვეს და ყველა თავის გზაზე წავიდა. თუმცა ეს ერთჯერადი თუ საჩვენებელი მხარდაჭერა საკმარისი არაა, რადგან „ამპტუტანტ ფეხბურთელთა ლიგაში“ 6 გუნდი და 120 კაცია და თითოეულ მათგანს მოტივაცია სჭირდება, ომის შემდეგ ცხოვრების გასაგრძელებლად. დღეს სახელმწიფოს მხრიდან ვეტერანებს, დახმარების სურვილით, კალთებს არავინ აგლეჯს. არადა, ყოველმა მათგანმა დიდი გზა განვლო, ვიდრე სპორტით დაკავდებოდა, ომის შემდგომი დეპრესიიდან გამოვიდოდა და ცხოვრების ჯანსაღ წესს მიჰყოფდა ხელს. ყველაფერი ერთი აფხაზი კაცის, რუსლან ბაქრაძის თაოსნობით დაიწყო. მან დაღუპული ცოლ-შვილის სახელზე, სახლი გაყიდა და აფხაზეთის ომის ინვალიდი, ვეტერანი ხალხის გაერთიანება, ფეხზე წამოყენება წამოიწყო. დღეს არსებულ პრობლემებსა და წინააღმდეგობებზე „ვერსიას“ ომის ინვალიდი ვეტერანი, გორის გუნდის წევრი, ბაჩო ფიფია უამბობს.

— ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ აფხაზეთის ომის ვეტერანები ფეხბურთელებიც ხართ და სპორტის ამ სახეობაში წარმატებასაც მიაღწიეთ. გვიამბეთ, როგორ შეიკრიბეთ, როგორ გაჩნდა თამაშის იდეა, როგორ იპოვეთ ერთმანეთი ომის შემდეგ?

— აფხაზეთიდან დევნილმა რუსლან ბაქრაძემ ომის დროს ოჯახი — ცოლი და ორი შვილი დაკარგა. ჰქონდა ბინა და სურდა, მათ სახელზე რამე გაკეთებინა. ეს ბინა გაყიდა და რეგიონებში 70-მდე ვეტერანი მოძებნა. ჩვენ სხვა ბატალიონების წევრებთანაც გვქონდა კონტაქტი, ერთმანეთს შევეხმიანეთ და შევიკრიბეთ. პირველ წელს, ფინანსურად, შედარებით არ გვიჭირდა და ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. სხვათა შორის, ამ ხალხის 70-80% ალკოჰოლდამოკიდებული იყო. პირველი ორი წელი ამ პრობლემასა და ომისშემდგომ დეპრესიასთან ბრძოლასაც შევალიეთ. დღეს უკვე თამამად ვიტყვი, რომ ამ ხალხის 99% ცხოვრების ჯანსაღი წესით ცხოვრობს.

— საფეხბურთო გუნდის შექმნის იდეა როგორ გაჩნდა, რატომ მაინცდამაინც ფეხბურთი?

— ესეც რუსლან ბაქრაძის დამსახურებაა. მან ნახა ინტერნეტით, რომ ცალფეხა ხალხი ბურთს თამაშობდა, თანაც ძალიან კარგად. ასე დავიწყეთ ნელ-ნელა ვარჯიშიც. იმდენს მივაღწიეთ, თბილისი-ზუგდიდის თამაში რომ იყო ორიოდე დღის წინ, ასეთი სანახაობა არსად მინახავს. ვიდეოც კი ჩავწერეთ და ვაპირებთ, სოციალურ ქსელში დავდოთ. დარწმუნებული ვარ, მილიონობით ადამიანი ნახავს და პოპულარული გახდება. ასეთი თამაში მსოფლიო თასზეც არ მინახავს. დღეისთვის, ამ საქმეში, დაახლოებით, 100-120 კაცი ვართ გაერთიანებული, მას მერე, რაც რუსლანმა ბინა გაყიდა, სულ რაღაც 1 თვეში შევიკრიბეთ...

— გავიგე, თქვენი თამაშით ქვეყნის გარეთაც დაინტერესდნენ, თუმცა, როგორც მიამბეთ, ვიზიტი ჩაგშლიათ, რატომ?

— შარშან ჩვენი ორი წლის ნამუშევარი დადებითად შეაფასეს და მსოფლიო თასზე მიგვიწვიეს, სადაც 24 წამყვანი ქვეყანა მონაწილეობდა. მაშინდელმა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა კი 18 000 ლარი არ მოგვცა, რომ წავსულიყავით და დაფინანსების შანსი გაგვჩენოდა. გვითხრა, ფული არ მაქვსო... პირდაპირ რომ გითხრათ, ფეხზე დაგვიკიდა. შემდეგ ახალ მინისტრს, ტარიელ ხეჩინაშვილს შევხვდით. განაცხადა, სახელმწიფოსთვის ეს მიმართულება პრიორიტეტულიაო. გვითხრა, თუ გჭირდებათ 250 000 ლარსაც მიიღებთ, მომავალი წლის ბიუჯეტიდან და 300 000 ლარსაცო. ამიხსნა, სამინისტრო ფეხბურთის ფედერაციას აფინანსებს, ფეხბურთის განვითარების მიზნით და შემდეგ, ფედერაციის პოლიტიკაში აღარ ვერევითო. თუმცა თუ ფედერაცია თავის სუბიექტს ფულს არ აძლევს და წერილობით უარს ეუბნება, ამ წერილის საფუძველზე, უკვე კანონი მავალდებულებს, ჩავერიოო. დღეს ძალიან მწირი ფინანსები გვაქვს და ყველაფერს ფედერაციის პრეზიდენტი აგვარებს.

გადავწყვიტეთ, ოქტომბრის ბოლოს თასის გათამაშებაც მოვაწყოთ. ვფიქრობთ, განმუხურში დავბანაკდებით, იქ საერთო კრებას მოვიწვევთ და სტრუქტურულ-ორგანიზაციულ საკითხებს მოვაგვარებთ, ხოლო ზუგდიდში თამაშები გვექნება. ის შანსი რომ არ გაგვეშვა ხელიდან და მსოფლიო თასის გათამაშებაზე გავსულიყავით, დაფინანსების სახით, სულ მცირე, 40 000 ევროს მაინც ჩამოვიტანდით, მაგრამ ჩვენს დასახმარებლად ლევან ყიფიანმა 18 000 ლარი ვერ გამონახა. თუმცა ერთი კვირის მერე ვნახეთ, რომ 40 000 ლარი გარდაბნის რომელიღაც ორგანიზაციას აჩუქა. 18 000 ლარი ის თანხა არ იყო, სახელმწიფოს ჩვენთვის მისი გაღება არ შეძლებოდა.

— მითხარით, მონაწილეთა უმეტესობა ალკოჰოლდამოკიდებული იყო. მიზეზი ყველასთვის გასაგებია, მაგრამ როგორი იყო რეაბილიტაციის პერიოდი ომგამოვლილი თაობისთვის?

— აბა, წარმოიდგინეთ, ჯერ ომი გავიარეთ, მერე ომის შემდგომი პერიოდი და ბოლოს 115-ლარიანი დახმარება მივიღეთ. არ გვქონდა სამუშაო, გასაქანი, ყველას 2 და 3 შვილი ჰყავდა სარჩენი. ამ ვითარებამ ადამიანები მორალურად გაანადგურა.

ფეხი აფხაზეთის ომში დავკარგე, 27 სექტემბერს. ყველამ მიგვატოვა, სულ 800-მდე კაცი ვიყავით ბატალიონში და აბსოლუტურად ყველა გაიქცა. დაახლოებით 45 კაცი დავრჩით სოხუმში, რაციის კავშირიც გაწყდა და ჩვენებს ვეღარ ვეკონტაქტებოდით. ჩვენამდე ამოსვლაც სახიფათო იყო. მახსოვს, საბრძოლო მოქმედებები 9 საათზე დავასრულეთ. ყველა ჩვენგანმა იცოდა, პოსტი რომ დაგვეტოვებინა, მშვიდობიანი მოსახლეობა გაქცევას ვერ მოასწრებდა. აფხაზები მთას აიღებდნენ და ხალხს ხიდზე აღარ გადმოატარებდნენ. ამიტომ ამ 45 კაციდან ფეხი არავის მოუცვლია... 22 გადავრჩით. ამ უბედურების შემდეგ, 14-ლარიანი დახმარება დაგვინიშნეს. ამ ყველაფერს ბევრმა ვერ გაუძლო — ზოგს დეპრესია დაემართა, ზოგმა შვება ალკოჰოლში იპოვა, ზოგმაც ნარკოტიკში, დაღუპვა გარდაუვალი იყო.

ჩვენს შორის ახლაცაა ერთი ისეთი, რომელიც კონტაქტზე ვერაფრით გამოვიყვანეთ. მასთან მთელი გუნდიც ვიყავით სახლში ასული, მაგრამ გაჩერება არ შეუძლია, მძიმე დეპრესიაშია. უმეტესობა ჩვენს შორის დევნილია, მაგალითად, გორის გუნდში 4 დევნილი ვართ.

— ომის შემდეგ თქვენთვის რა შეიცვალა, როგორც დევნილისთვის, როგორც ომის ვეტერანისთვის და ახლა უკვე ფეხბურთელისთვის... სახელმწიფო თქვენს გვერდითაა?

— აი, ბოლო შემთხვევაზე გიამბობთ. პარლამენტარებს შევუთანხმდით, რომ ჩვენს თამაშს დაესწრებოდნენ. თამაზ მეჭიაური სოციალურ ქსელში ჩემს მეგობრებში აღმოჩნდა. ვიცი, ბიძინა ივანიშვილის კურსელია და დავეკონტაქტე, ავუხსენი, ვინ ვართ, რას ვაპირებთ და ვითხოვე, იქნებ მობრძანდეთ, სიმბოლური პრიზი გადასცეთ გამარჯვებულს, ტელევიზიაც მოიყვანოთ-მეთქი. დამპირდა, თქვენთან ვიქნებიო და არ მოსულა... 27 სექტემბერს, მემორიალთან რომ მივედი, ისიც იქ იყო, ზურაბ ტყემალაძესთან ერთად. ვკითხე, სიტყვა რატომ არ შეგვისრულეთ-მეთქი და მიპასუხა, რაღაც საქმეები დამემთხვა და რა მექნაო. კიდევ ერთი მტკივნეული თემაა საინფორმაციო მხარდაჭერა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რომ გააშუქოს ჩვენი საქმიანობის შესახებ, ეტყობა, შენობის წინ 80 კაცი უნდა დავდგეთ, კასტილებით ხელში. თამაშების დაწყებამდე 15 დღით ადრე მივწერე და მითხრეს, საინფორმაციო სამსახურს გავაგებინებთ და ალბათ, თქვენს თხოვნას გაითვალისწინებენო. არავინ მოსულა! როცა ამ ტელევიზიას ჩვენ ვაფინანსებთ და ასეთი ამბების გაშუქება მათი მოვალეობაა, კიდევ ჩვენ უნდა ვიდგეთ შენობის წინ „კასტილებით“?! შედარებით პოზიტიურ დამოკიდებულებას ვგრძნობთ შიდა ქართლში, სადაც მეორე გუნდის შექნაზეც კი წამოვიყვანეთ ხელისუფლება. ერთი გუნდის შესანახად, წლიურად, მინიმუმ 50 000 ლარია საჭირო. ეს თანხა დათვლილი გვაქვს და მასში ვარჯიშის, ტრანსპორტირების თანხები, ასევე, მინიმალური ხელფასი, 250 ლარი ბიჭებისთვის, ყავარჯნები და სხვა ტექნიკური დეტალებიცაა გათვალისწინებული. ყავარჯნებისთვის თვეში 3-4 ცალი სპეციალური რეზინა გვჭირდება — ყოველთვიურად 12 ვარჯიში გვაქვს. ასეთი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ თავს ყველანი ბევრად უკეთ ვგრძნობთ. კვირაში სამჯერ ვვარჯიშობ და რაც ვარჯიში დავიწყე, ჯოხიც გვერდზე გადავდე.

— ერთი სიტყვით, ყველაზე მწვავე დაფინანსებისა და უყურადღებობის პრობლემაა. ამას რით ხსნიან, რას გეუბნებიან, როცა უარით გისტუმრებენ?

— ზესტაფონისა და ქუთაისის გუნდებს საერთოდ არ აფინანსებენ — უბრალოდ, ფეხზე ჰკიდიათ. თბილისის გუნდს საქმე ყველაზე ნორმალურად აქვს, ჩვენს შორის საუკეთესო პირობებში არიან: აუზიც აქვთ, ფიტნეს-კლუბიც და წელს ლიგის ჩემპიონებიც გახდნენ. გინდა თუ არა, ფინანსები წყვეტს ყველაფერს. ვისაც უნდა მივმართოთ, გვეუბნებიან, ფული არ გვაქვს, ბიუჯეტის ხარჯები უკვე გაწერილიაო... ყველგან ერთსა და იმავეს გვპასუხობენ, ჩვენ კი ვეუბნებით, „სხვა ხარჯებში“ მაინც გაგვატარონ. ყველა ბიუჯეტის პროექტში, ეს „სხვა ხარჯები“, მინიმუმ, 700 000 ლარს მაინც ნიშნავს და როცა ხელში ამხელა თანხა გიკავია, არ მესმის, უარით რატომ უნდა გაისტუმრო ადაიანები?! ახლო მომავალში შიდა ქართლის გუბერნატორს უნდავ შევხდე. ვიცით, ჩვენი საქმის მიმართ პოზიტიურადაა განწყობილი, იმედია, უარს არ გვეტყვიან, უფრო სწორად, ვერ გვეტყვიან, რადგან

ძაღლთა თავშესაფარი 180 000 ლარით ფინანსდება. ჩვენ არ ვითხოვთ მათთან გათანაბრებას, ისედაც ვიცით, არავინ ვართ, ვეტერანი ხალხი ვართ. უბრალოდ, ვითხოვთ მათთან მიახლოებას. დიახ, მოვითხოვთ, ომის ვეტერანის სტატუსი მიუახლოვდეს მაწანწალა ძაღლების სტატუსს!

როცა ამ ომში შევდივარ, ვგრძნობ, რომ ტვინი მიშუპდება და რამდენიმე დღე თუ არ განვიტვირთები, უბრალოდ, ვერ გავუძლებ. პრეზიდენტსა და პრემიერსაც მივწერე, ავუხსენი ჩვენი მდგომარეობა. ვუთხარი, ამ ხალხმა რეაბილიტაცია უკვე გაიარა და ახლა ელემენტარული ფინანსები გვჭირდება. თუ ცოტა სტიმულიც არ გვექნება, მთელი ამ წლების შრომა წყალში გადაყრილი გამოდის. კეთილი ინებოს სახელმწიფომ და რაღაც ეტაპზე, ამ 6 გუნდს დაეხმაროს. როგორ დავიჯერო, ქვეყანას ამის საშუალება არ აქვს, რა თანხას ვითხოვთ ასეთს, ან რატომ არ იმსახურებს ამ დახმარებას და ცხოვრების ახალ შანსს ომის ვეტერანი ხალხი...

ვერსიანიუსი

რუსეთმა სირიაში პირველი ავიადარტყმები განახორციელა

სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა სირიაში, ქალაქ ჰოლმსის მიმდებარედ პირველი ავიადარტყმები განახორციელა.

სააგენტო სანდო წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს, რომ აშშ-ს ხელისუფლებას ავიადარტყმების შესახებ მონაცემები გააჩნია.

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის თხოვნით, რუსეთის შეიარაღებული ძალები საჰაერო-საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო.

„პირველი“

პაპილომავირუსის საწინააღმდეგო აცრა უშვილობას იწვევს

ამერიკელი ექიმის სკანდალური დასკვნა

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

პაპილომავირუსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ვაქცინაციასთან დაკავშირებით იმთავითვე გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, ხოლო მას შემდეგ, რაც მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ის აუცილებლობად იქცა, დავა მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის უკომპრომისო გახდა. ფაქტი ერთია — სამწუხაროდ არ არსებობს მეორე ვაქცინა, რომელიც ისეთივე უარყოფით გამოხმაურებას ჰპოვებდა, როგორიც გარდასილია. ამერიკელმა ექიმმა ჯოზეფ მერკოლომ ვრცელი კვლევა მიუძღვნა ამ ვაქცინას, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

რამდენიმე წლის წინ, როცა ვაქცინა მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩნდა, კოლოსალური პოპულარობა მოიპოვა და მისი საშუალებით მწარმოებელმა კომპანიამ 1,1 ტრილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო. ფართოდ რეკლამირებული გარდასილი, რომელიც აღკვეთდა საშვილოსნოს ყელის კიბოს წარმოქმნის რისკს, განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ გადაერჩინა კაციობრიობა და მასთან ერთად, ფარმაცევტული კომპანია „მერკი“, რომელმაც Vioxx-ის ვაქცინით კოლოსალური ზარალი ნახა.

თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და გამოცემა CNN Money-ს მტკიცებით, გარდასილის გაყიდვები 219 მლნ დოლარზე ჩამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ თანხა შთამბეჭდავად ჟღერს, ფარმაცევტული ბიზნესისთვის ეს კაპიკებია, რასაც მოგვიანებით, მერკის აქციების სამპროცენტიაინი ვარდნა მოჰყვა და ანალიტიკოსები თუ ინვესტორები ვერაფრით ხსნიდნენ მიზეზს.

CNN Money კი მიიჩნევს, რომ მთავარი შეცდომა დიზაინი, ეკონომიკური კრიზისი, მშობლების პურიტანული შეხედულებები, პრესაში ცუდი გამოხმაურებებია და როგორც უნდა ეცადოს აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრი, ვაქცინა გარდასილის უსაფრთხოება დიდი კითხვისნიშნის ქვეშაა — 2010 წელს, ვაქცინაციისას ოფიციალურად რეგისტირირებულია 18 000 გართულებული შემთხვევა, მათ შორის 65 ლეტალობით დასრულდა და მხოლოდ 27-მა პროცენტმა შეძლო სამივე ნემსის გაკეთება.

მოგვიანებით მერკმა შეხსენების სპეციალური სისტემა შემოიღო იმ გოგონებისთვის, ვინც მხოლოდ ორი კურსი ჩაიტარა, მაგრამ არავის გაუთვალისწინებია, რომ გვერდითი მოვლენები, რომელიც ამ ვაქცინას ახლავს ისეთი ძლიერია, რომ პაციენტები ნებაყოფლობით ამბობენ უარს მესამე ვაქცინის გაკეთებაზე.

სამეცნიერო სტატიები ადასტურებს, რომ ეს ვაქცინა სულაც არ არის ისეთი, როგორც მწარმოებლებს სურთ, წარმოაჩინონ:

ეს კიბოს საწინააღმდეგო კი, არა, პაპილომავირუსის ორი შტამის საწინააღმდეგო ვაქცინაა, რომელმაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საშვილოსნოს ყელის კიბო გამოიწვიოს. არადა, რეალურად, არსებობს პაპილომავირუსის 15 შტამი რომელიც სიმსივნეს იწვევს და ადამიანი, თავისუფლად შეიძლება რომელიმეთი დაავადდეს; გარდა ამისა, ვაქცინა უძლურია იმ შემთხვევაში. თუ ვირუსის რომელიმე შტამი ორგანიზმში უკვე არსებობს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სხვა კონკრეტულ მონაცემებს ვერ წააწყდებით, სამაგიეროდ უამრავი გამოხმაურებაა, რატომ აცხადებენ მშობლები უარს ბავშვების ვაქცინაციაზე. ერთ-ერთი ფაქტორი ისაა, რომ ვაქცინა ანალიზის გაკეთების აუცილებლობას არ გამორიცხავს, არადა ანალიზი მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად კარგა ხანია იქცა, რომლის საშუალებითაც საშვილოსნოს ყელის კიბო ადრეულ სტადიაზე ვლინდება.

ამერიკელი ექიმის აზრით, ბავშვების ვაქცინაცია საერთოდ სცილდება ყოველგვარ ლოგიკას, რადგან პაპილომავირუსი ის ინფექციაა, რომელსაც „ორგანიზმი ორ წელიწადში თავად ამარცხებს და არ მიეკუთვნება დაავადებებს, რომელიც ადვილად გადადის ერთი ბავშვიდან მეორეზე, თუნდაც ჰაერ-წვეთოვანი გზით“.

„თუ გაქვთ პაპილომავისურისი ან წარსულში გქონდათ, არ ნიშნავს, რომ კიბო გაქვთ ან მომავალში დაავადდებით, ეს ვირუსული ინფექციაა, რომელმაც შეიძლება საშვილოსნოს ყელის კიბო გამოიწვიოს, ოღონდ ზოგ შემთხვევაში, ხოლო ვირუსის უფრო აგრესიული ფორმა იმ ქალებსა და მამაკაცებშია გავრცელებული, ვინც უწესო ცხოვრებით ცხოვრობს“, — დასძენს ექიმი **მერკოლო**.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — კლინიკური გამოკვლევა იმის დასამტკიცებლად, შეუძლია თუ არა ვაქცინას, აღკვეთოს საშვილოსნოს ყელის კიბოს წარმოქმნის ალბათობა არ ჩატარებულა; გარდა ამისა, ცდებმა ცხადყო, რომ წამლის ეფექტურობა მხოლოდ ოთხ წელს გრძელდება, და მოხალისეებს მეოთხე ნემსის გაკეთება დასჭირდათ, რათა ორგანიზმს ანტისხეულების გამომუშავების მაღალი მაჩვენებელი ჰქონოდათ. თავად მწარმოებელი კომპანიაც აღიარებს, რომ ვაქცინა არ გამორიცხავს პაპილომავიურსზე რეგულარულად ანალიზების ჩაბარებას.

აქედან გამომდინარე უპასუხო საკმაოდ ბევრი კითხვაა და დღემდე ღიად რჩება საკითხი — ხომ არ განაპირობებს მასობრივი ვაქცინაცია სხვა შტამების გააქტიურებას, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ვაქცინის უსაფრთხოება ზედმიწევნით უნდა შემოწმებულიყო, სანამ მისი გამოყენების ნებართვა გაიცემოდა, მწარმოებელმა ფირმამ კი არასწორი მეთოდოლოგია გამოიყენა ცდებისას:

ექსპერიმენტი ნამდვილი პლაცებოს გარეშე ჩატარდა, მერკმა კი ალუმინი გამოიყენა, რომელსაც შეუძლია ორგანიზმში გამოიწვიოს ანთებითი პროცესები და ხელს უწყობს ტოქსინების მოხვედრას თავის ტვინში. ცდაში

16 წლამდე ასაკის 1 200 მოხალისე გოგონა მონაწილეობდა და გართულებები, რაც ამ პროცესს ახლდა, ჩვეულებრივ დამთხვევად აღიარეს. მოხალისეები კი ამ „ჩვეულებრივი დამთხვევის“ შედეგებით დღემდე იტანჯებიან: თრომბოზი, გულის უკმარისობა, გულყრა, ინსულტი, ვასკულიტი, ლეტალური გამოსავალი...

ეს არასრული ჩამონათვალია სავალალო გვერდითი მოვლენებისა, რომელიც ვაქცინაციას ახლავს, თუმცა სამწუხაროდ, ამ საკითხზე ხმამაღლა საუბარს ბევრი ერიდება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი — ექიმები პირად საუბარში არ გამორიცხავენ ვაქცინის მავნებლობას, სავალალო შედეგებზეც საუბრობენ და დასძენენ, რომ რიგ შემთხვევაში ვაქცინა უშვილობასაც იწვევს.

ქართული კულინარიის ოკუპაცია

რუსეთი ქართულ პროდუქციას აყალბებს და ევროპაში ყიდის

ლევან ხვედელიძე,
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

რუსეთი საქართველოს არა მარტო მიწების ოკუპაციითაა დაკავებული, არამედ კულინარიის მითვისებაც შეძლო და თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან წარმატებულადაც. ადრე ქართული ღვინოები აღმოვაჩინე რუსულ მაღაზიებში, რომლებიც არანაირ კავშირში იყო არც ქართულ ვენახთან და არც საქართველოსთან, თუმცა, ეტიკეტი კი ჰქონდა ქართული. არადა, ყველას ახსოვს, აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა როგორ დაიწუნა ქართული პროდუქცია. სამაგიეროდ, ევროპის ქვეყნების ბაზარია სავსე ჩვენი პროდუქციით. ახლა კი, მათი შემოტანა ევროპაში, რუსეთმა თავად დაიწყო. მოკლედ, როგორც სჩვევია, კრემლი აქაც ორმაგი სტანდარტით

მოქმედებს — ერთი ხელით კრძალავს ქართულ პროდუქციას, მეორე ხელით კი, აყალბებს მას და თავისად მიიწერს. ქართულ-ეტიკეტიანი ღვინო, რომელსაც რამდენიმე წლის წინ წავაწყდი, გერმანიის მისამართით იყო რეგისტრირებული, ინტერნეტგვერდიც ჰქონდა მითითებული, სადაც ამოვიკითხე, რომ პროდუქცია გერმანული იყო, მაგრამ რუსების წარმოებული. სპეციალურად ვიყიდე რუსების მიერ გერმანიაში დაყენებული ქართული ღვინო. გამყიდველმა პატიოსნად გამაფრთხილა, გემო არ მოგეწონებათო და მართალი აღმოჩნდა. ღვინო იყო თითქმის ყველა „სორტის“ — 2-ნაირი „ხვანჭკარა“, „საფერავი“, „ქინძმარაული“, „რქაწითელი“... მაშინ, ფოტოებიც გადავიღე, გავავრცელე და... წინა მთავრობამ ამაზე რეაგირებაც მოახდინა. მაშინ, მოლდოვა და ლიტვაც გაიკიცხა გაყალბებული ღვინის გამო. ლატვიაში პროდუქცია ქსელიდან სრულადაც ამოიღეს.

დღეს, „დიდი დათვს“ მადა სხვა მიმართულებითაც გაეხსნა — ავსტრიის ყველაზე დიდი სუპერმარკეტების ქსელში — MERKUR, ქილებით, ქართული ბულგარულის სალათა შემოიტანა. ავსტრიაში წამყვანი სუპერმარკეტი, ყველა ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ. მასში სხვადასხვა ქვეყნის პროდუქციის კუთხეებია გამოყოფილი. რუსეთის განყოფილებას კი, ჩვენი, ბულგარულ წიწაკაში ჩადებული ბოსტნეული ამშვენებს. ამ ქილების ეტიკეტზეც, გერმანული მისამართია მითითებული. თუმცა, ამ შემთხვევაში, მწარმოებელი, გაცილებით ცნობილი ბრენდია.

ფირმის სახელწოდება: **OVGAN GmbH**
მისამართი: **Zinkhüttenweg 6**
22113 Hamburg
Deutschland
ვებგვერდი: **www.dovgan.de**

საინტერესოა, ვინ, რატომ, რა უფლებით მისცა უფლება მწარმოებელს, ქართული პროდუქცია აწარმოოს? იქნებ არც არავის დაეკითხნენ? რატომ არ შეიძლება, ჩვენმა მწარმოებლებმა თავად მოგვაწოდონ პროდუქცია, რომელიც ავსტრიაში, მსხვილ სუპერმარკეტებში, „საქართველოს კუთხეს“ დაამშვენებს? იმედია, ამ ინფორმაციით, შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან და ჩვენი წერილი, არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

კახა კახიშვილმა ზონაზე კარტი და „ბრაგა“ აკრძალა

რა შეიცვალა ციხეში ახალი მინისტრის პირობებში და სცემენ თუ არა ისევ პატიმრებს

პატიმარი №0578

სიმართლე გითხრათ, როცა სასჯელაღსრულების მინისტრად კახი კახიშვილი დაინიშნა, მოუთმენლად ველოდი, რას იტყოდნენ ის პატიმრები, რომლებსაც სასჯელაღსრულების აღკვეთის ადგილებზე „მოღვაწეობა“ მოუწევდათ. მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ კახიშვილმა ჯერ კიდევ მინისტრის მოადგილის პოსტზე ყოფნისას განაცხადა, მაყურებლები ზონებზე იყვნენ, არიან და იქნებიან კიდეც, სანამ ამ პრობლემას კომპლექსურად არ მივხედავთო. პრაქტიკულად, კახიშვილი ერთადერთი მაღალჩინოსანი აღმოჩნდა, რომელმაც აღიარა ის, რაც არის — ზონა მაყურებლის გარეშე არც კომუნისტების დროს იყო, არც გამსახურდიასი და შევარდნაძის და არც ნაციონალების... იმის მიუხედავად, რომ ნაციონალური მოძრაობა ჯიუტად ამტკიცებდა, მაყურებლები არ გვყავსო.

ჰოდა, ძალიან გამიხარდა, როცა ორიოდე კვირის წინ, ერთ-ერთმა იმ პატიმარმა დამირეკა, ორ დღეში გამოვდივარ და თუ ძმა ხარ, მანქანით დამხვდი, პირდაპირ სახლში რომ წავიდე, ზონის წინ ჩემების ტირილის და წიოკის თავი არ მაქვსო. ბადრი დ. ნაცების დროს ზონაზე ერთ-ერთი რეგიონის მაყურებელი იყო. მერე, როცა „ოცნება“ მოვიდა, იგივე რეგიონის მაყურებლად უფრო ფრთაგაშლილმა გააგრძელა საქმიანობა და... და მერე აღარ ვიცი. მამამისმა მითხრა ერთხელ, „გაკრიტეს“, მეექვსეში ნაიყვანესო, თუმცა მეგობარი დახვედრას რუსთავში მთხოვდა და სიამოვნებით დავხვდი.

როგორც წესი, ისიც რიგითი პატიმარივით გამოვიდა — გამხდარი, დაწვრილებული ფეხებითა და მკლავებით, თეთრი, ცოტა ავადმყოფური ანუ პატიმრის ფერით და სპორტულებით.

„სალამი, ზეკ... რა თანამდებობას ტოვებ. ზონაში მაყურებელი, გარეთ რიგითი მოქალაქე, უფრო სწორედ კი, ცუდი ბიჭი, რომელიც ციხეში იჯდა. რას ინებებთ, რა მოგართვათ?!“, — გავუღიმე.

„სახლში წამიყვანე, თუ ძმა ხარ, არავის და არაფრის თავი არ მაქვს“, — ჩუმად თქვა ბადრიმ, უხმოდ გადამეხვია, მერე ზონას გახედა, რამდენიმე წამი უყურა უხმოდ, ბოლოს გადააფურთხა, შენი ამშენებლისო, მიაგინა და მანქანაში ჩაჯდა.

„ჰოო... გაჭირდა, როგორც ჩანს, ცხოვრება. შენ რომ 20-30-ათასიანი მანქანა არ გყავს, გამოდის, ჭირს სუნთქვა. ცუდია“, — თავისთვის ჩაილაპარაკა ბადრიმ, როცა მანქანაში ჩაჯდა.

„ზონაზე რა ხდება, შენ ის თქვი... იქაც ჭირს სუნთქვა?! თუ მე რომ დავტოვე, იგივე პალაჟენიაა?!“

„ეჰ, რა პალაჟენია... სისულელეა უკვე ყველაფერი, ყველაფერმა აზრი დაკარგა. პატიმარი პატიმარს აღარ ჰგავს და კაროჩე, რა, დროზე გამოვედი, თორემ შარში გავეხვეოდი“, — გაურკვევლად თქვა ბადრიმ.

„და მაინც, რა მოხდა? ახალმა მინისტრმა შეცვალა რამე? მეექვსეში გაკრიტესო, მამაშენმა და მაშინ რა მოხდა?“, — უკვე ყველაფერი მაინტერესებდა.

„ლაშა ბრეგვაძე რომ სცემეს ყოფილმა პატიმრებმა, ხომ გახსოვს, როგორ გაგვიხარდა? ისე გაგვიხარდა სასჯელაღსრულებიდან დიმიტრი დარბაისელი რომ გაუშვეს. ჭაკუას დრო მოგვანატრა მაგისი დედაც... მაგან გამკრიტა მეც და სხვებიც. ანუ, მოვიდა თუ არა, ზონებზე ყველა მაყურებელი მოაგროვა და გაკრიტა, სამაგიეროდ, ახალი მაყურებლები მოვიდნენ და ზოგს ეგ აკონტროლებდა და ზოგის კიდევ კავშირები გაიგო“...

„რა კავშირები, ნუ გადამრიე?!“

„დაგავიწყდა, მაყურებელი ზონაზე როგორ ინიშნება?! ქურდებთან რეკავ. ჰოდა, ვის რომელ ქურდთან ჰქონდა კავშირი, ის გაიგო. ტელეფონები ხომ ისმინება და ეს ჩვეულებრივი ამბავია, პატიმრებს უნდა უსმინო. იცი, რა ვერ გავიგე? ციხის ტელეფონები ოფიციალურად რომ ისმინება, ეგებ ტელეფონით სექსი მინდა ვინმესთან და რატომ უნდა გაიგოს მაგალითად დიმიტრი დარბაისელმა, ვის ვაბამ მე დარბაისლურად? არ ვარ მართალი?“

„მართალი ხარ, მაგრამ მოდი, სექსს შევეშვათ და ისევ ზონაზე მელაპარაკე“...

„სექსს შვიდი წელი ვიყავი შეშვებული ზონაზე და ახლაც შევეშვა?! გადამრევ შენ... ჰოდა, იმას ვამბობდი, დარბაისელმა გაგვკრიტა-მეთქი მთელი ბლატატა. არ გეგონოს, ყველა იქ დავრჩით. ვიღაცებმა იმავე დარბაისელთან „გახოდეს“ და უკან, ზონებზე დაბრუნდნენ. ანუ, თუ ნახავდი ვინმე ახლობელს, პრობლემა არ იყო ზონაზე დაბრუნება. სამაგიეროდ, უკვე დარბაისელთან იყავი ვალში. მე უბედურს, აბა, ვინ უნდა მენახა და კი ვხეხე ერთი წელი კრიტის კედლები“...

„და კახიშვილმა შეცვალა რამე?!“

„ბიჭო, ეგ სახალხო დამცველი თუ რაღაც მაგ პონტში არ იყო? პატიმრები ჯიგრები არიანო, რომ იძახდა, ეგ არ იყო?!“ — აქეთ დამისვა კითხვა ბადრიმ.

„პატიმრები კაი ტიპები არიანო თუ იძახდა, ნაღდად არ მახსოვს, მაგრამ უფლებადამცველი იყო. რატომ მეკითხები? ახლა არ თქვა, რეჟიმს მოუჭირაო?!“

„რომ იბაზრა, ზონაში მაყურებლები არიანო, მაშინ მინისტრის მოადგილე იყო და ყველა ვამბობდით, ეს რომ მინისტრად გაიჩითოს, მაგარი იქნებაო. გაიჩითა და მანდ დაგვერხა. კარტი აიკრძალა, ბრაგა აიკრძალა, ყველაფერი აიკრძალა ანუ... აკრძალვა სხვა დროსაც იყო, კანონში უწერიათ ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ეს ნაგლი ხალხს სროკავს ბრაგაზე და კარტზე. ჰოდა, ერთი გაისროკა, მეორე, მესამე და შეეშვა ხალხი კარტს და ბრაგას. ასეა, მოჯდებიან თანამდებობებზე და აღარ ახსოვთ მერე პატიმრები“, — გაბრაზებით თქვა ბადრიმ.

„მოიცა კაცო, შენ ამბობ, ახალი მინისტრი კანონს იცავს და ხალხი აღარ ახსოვსო? აბა, ის სჯობდა, „იგროკები“ რომ დაუჯდებოდნენ საწყალ ხალხს და კარტში ათასებს უგებდნენ?!“

„ათასებს არა, გახსოვს შენ, პატალოკი იყო, ორი ათასზე მეტი არ უნდა გეთამაშა. ბრაგა კიდევ, შენც იცი, ცოტას გიხალისებს ცხოვრებას და“...

„როგორ არ ვიცი... ეგ ბრაგა იყო, გაკეთება თუ არ იცოდი, ერთი კვირა ფაღარათი გქონდა და თუ იცოდი კიდევ, ნახევარი ზონა გამოთაყვანებული დადიოდა. ყოჩაღ კახიშვილს, ეგ კარგი რაღაცები აუკრძალია. ცოტა აზრზე რომ მოხვალ და ზონის მატორზე აღარ იქნები, მიხვდები, ასე სჯობია. კიდევ რა აკრძალა? მაყურებლებს ხომ არ გავიწროვებთ?!“

„არა, მაყურებლები ისევ არიან. ერთი ბათუმელი ქურდია, თურქეთშია ახლა და იმასთან აგვარებენ ხოლმე, ვინ უნდა იყოს და სად. იმასაც, მგონი, თავი ტარიელ ონიანი ჰგონია, სხვასთან ვერ რეკავენ პატიმრები და „პალაჟენია“ უჭირავს ვითომ. გავარტყი ასეთ „პალაჟენიას“. ვერ გაიგებ, ვისი პატიმარი ვის კამერაშია...“

„ობშჩიაკი გროვდება ისევ? უპატრონო პატიმრების სიგარეტსა და ჩაიზე გეკითხები?!“

„ჰო, ეგ გროვდება. იციან ზემოთ, მაგრამ მაგის მოშლა არ აწყობთ თავადაც. კანონში პატიმრების სიგარეტით უზრუნველყოფა უწერია, მაგრამ არ არიგებენ და ამიტომ, პატიმრები ვაგროვებთ ისევ...“

„ცემა-ტყეპა არის ისევ?!“

„ეგ სულ იყო და იქნება. უბრალოდ, გაგა მკურნალიძემ რომ იცოდა ხოლმე — შემოვარდებოდა, ვინმე არ მოეწონებოდა სახეზე, კარცერში მიჰყავდა და ცემაში კლავდა, მასე აღარ არის. ძალიან უნდა მოინდომო, რომ გცემონ. მიღებაზე, ანუ როცა ზონიდან ზონაზე მიდიხარ, მსუბუქად გილაწუნებენ, ოფიცრები ერთ-ორს შემოგარტყამენ და ეგ არის. გახსოვს, ადრე გვხოცავდნენ. ახლა მოფერებასავით არის ერთი-ორი შემოლაწუნება. ჰო, მართლა, რუსთავის მეორე ზონის ახალი კორპუსი ხომ გახსოვს? რკინებით იყო შემოსაზღვრული და ხედავდი, იქეთ რა ხდებოდა, გვერდზე ზონაში ან „ბალნიჩკისკენ“ მიმავალ გზაზე. ახლა რკინის „ლისტები“ ააკრეს მესერს და გარდა იმისა, რომ ვერაფერს ხედავ, ჰაერიც აღარ არის, რკინის სარკოფაგში ხარ, რა. გარეთ ხარ და ჰაერი არ არის. ესეც კახიშვილის იდეაა. ერთი მხრივ, კარგია ადმინისტრაციისთვის, პატიმრებს კონტაქტი გვიჭირს, მაგრამ უჰაერობა საშინელებაა...“

„მოიცა, სარკოფაგშიო და... ასეთი სიტყვები სად ისწავლე?!“

„ეჰ, კრიტში ისეთი ბიბლიოთეკაა, საჯაროს შეშურდება... ვკითხულობდი...“

„ახლა რას აპირებ?!“

„რას ვაპირებ და საბუთები და წავალ ევროპაში. აქ ისეთ სამსახურს არავინ მომცემს, მე რომ მინდა და ჩემებიც მოხუცები არიან უკვე, მოვლა სჭირდებათ. ჯანზეც ვეღარ ვარ ისე, შვიდი წელი ბალანდა ჩემმა მტერმა ჭამა... სვაბოდაზე რა ხდება?“

„ბევრი არაფერი, მაგრამ საღამოს ექვსზე რომ არ დაიძახებენ რუპორიდან, იწყება საღამოს შემოწმება, ყველა მსჯავრდებული შევიდეს საკანშიო, ერთ რამედ ღირს...“

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში აშშ-ს ახალ ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩს იან კელის შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა აშშ-ს მთავრობასა და საქართველოს შს სამინისტროს შორის თანამშრომლობის შედეგები, საზღვრის მართვის, ნარკოტიკული დანაშაულისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებული პროექტები განიხილეს. შს მინისტრი სტუმარს სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ ესაუბრა.

გიორგი მღებრიშვილმა და იან კელიმ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა შეაფასეს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმები და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს.

შსს-მ დუშეთის რაიონში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დუშეთის რაიონის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ტარიელ ლ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დუშეთის რაიონის სოფელ უკანა ფშავის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ცხედარი იპოვეს, რომლებსაც, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდათ. საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გარდაცვლილი პირების ვინაობა დადგინდა.

პოლიციელებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, დუშეთის რაიონის სოფელ გოგოლაურში დააკავეს ტარიელ ლ, რომელმაც ჩადენილი მკვლელობა აღიარა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

შსს-მ თელავში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ბექა ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, დაახლოებით 23:50 სთ-ზე, თავის მართვის ქვეშ მყოფი, „ბე-ემ-ვეს“ მარკის ავტომანქანით, თელავში, ბახტრიონის ქუჩაზე, სახლში მიაკითხა ყოფილ პოლიციელ ბექა აბულაძეს და ქუჩაში გასვლა სთხოვა. ბექა ა-მ, შურისძიების მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 17 ჭრილობა მიაყენა ბექა აბულაძეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ბექა აბულაძე ადგილზე გარდაიცვალა.ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულსა და გარდაცვლილ ბექა აბულაძეს 5 წლის წინ მოუხდათ ურთიერთშელაპარაკება, რომელიც ბექა აბულაძის პოლიციურ საქმიანობას არ უკავშირდება — ბექა აბულაძემ ბექა ა-ს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

სამართალდამცველებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე დღეში, თელავის რაიონის სოფელ ოჟიოში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

„ეშმაკები კაბებში“

მსოფლიოს თაღლითი ქალების ვირტუოზული ხერხები

რუსულიდან ხავთასი

ისტორიაში თავის დამკვიდრებას ყველა სხვადასხვაგვარად ცდილობს, სქესისა და ასაკის, წარმომავლობისა თუ სოციალური ფენის მიუხედავად. ისტორიას ბევრი ადამიანის სახელი უკვდავუყვია და მათ შორის არიან ქალებიც — ზოგი მათგანი ცნობილია მითებით მკაცრი და სასტიკი ხასიათის შესახებ, ზოგმა ქვეყნის მართვის არაჩვეულებრივი უნარით გაითქვა სახელი, ზოგიც კი, ისტორიაში, არც მეტი, არც ნაკლები, ქურდობითა და თაღლითობით შევიდა. „ვერსია“ ამჯერად სწორედ ამ ბოლო კატეგორიის ქალბატონებზე გიამბობთ.

სონკა „ოქროს ხელები“

მას „ეშმაკი კაბაში“ შეარქვეს და როგორც მიხვდით, ეს სახელი, მრავალი დეტექტიური ფილმის, რომანისა თუ პიესის სიუჟეტიდან იღებს სათავეს. ამ ვირტუოზი ქურდის შესახებ ბევრს სმენია. მას კრიმინალური სამყაროს დედოფალსა და მსოფლიო კრიმინალის ვარსკვლავსაც უწოდებდნენ. ამბობენ, რომ „ქურდები“ დღესაც დადიან მის საფლავზე — მონეტებსა და ყვავილებს მიართმევენ და სთხოვენ, დიდი ფული აშოვნინოს. სოფია ბლუვშტეინი საკმაოდ მსხვილი ქურდობების ორგანიზატორი იყო, რომლებიც გამოირჩეოდა ავანტიურითა და ქურდი ქალბატონის შესანიშნავი თეატრალური დადგმით. სონკა იყენებდა ქმრების გვარებს: როზენბადი, რუბინშტეინი, შკოლნიკი და ბრენერი.

მიყრუებულ ადგილას გაიზარდა. საკმაოდ კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე, თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულ და გერმანულ ენებზე, შესანიშნავად იცოდა მაღალ საზოგადოებაში მოქცევის ეტიკეტი. არისტოკრატებსაც კი არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ მათ წინაშე ბარონესა, ვიკონტესა ან გრაფინია იდგა. მის წარმოსახვით სცენად საიუველირო მაღაზიები იქცა, სადაც ნამდვილი სპექტაკლები თამაშდებოდა — მდიდრულად ჩაცმული სონიჩკა ეჭვს არ იწვევდა, ეგონათ შეძლებული ქალბატონი თავისთვის არჩევდა ბრილიანტებით ან ძვირფასი ქვებით მოპირკეთებულ ბეჭდებს. გამყიდველები ცდილობდნენ ესიამოვნებინათ მისთვის და „პატივცემულ სტუმარს“ უძვირფასეს, საუკეთესო სამკაულებს სთავაზობდნენ. სწორედ ამ დროს შედიოდნენ „სცენაზე“ სონკას პაჟები, რომლებიც გამყიდველების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ. ამ დროს სონკას უკვე საიმედოდ ჰქონდა ძვირფასი ქვები დამალული, უფრო დიდ სამკაულებს კი, ელვისებური სისწრაფით ცვლიდა ყალბი ნივთებით. მას ერთი საყვარელი ქურდობის ხერხიც ჰქონდა, სახელწოდებით, „გუტენ მორგენ“ — დილაადრიან, სასტუმროს ოთახებში შედიოდა და სანამ იქ მყოფებს ტკბილად ეძინათ, მათ ქურდავდა. ჩუმად მოქმედებდა, ამიტომ ყოველთვის დაბალქუსლიან ფეხსაცმელს იცვამდა. თუ რომელიმე სტუმარი გაიღვიძებდა, გაწითლდებოდა, ბოდიშს მოუხდიდა და ეტყოდა, რომ ოთახი შეეშალა, ან თბილად გაუღიმებდა და ლოგინზე ჩამოუჯდებოდა. ამბობენ, რომ სონია ახალგაზრდა ალფონსმა დაღუპა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ ფულს ითხოვდა მისგან. ცნობილი ქურდის ცხოვრების ბოლო წლებსა და სიკვდილზე არაფერია ცნობილი. ზოგი ამბობს, რომ გრიპისგან გარდაიცვალა სახალინში, სხვები ამტკიცებენ, რომ ოდესაში გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები, ზოგი კი ფიქრობს, რომ მოსკოვში ცხოვრობდა პატარა თეატრის მსახიობების ქალიშვილებთან ერთად. სონია ვაგანკოვსკის სასაფლაოზეა დაკრძალული. მან ბევრი კითხვა დატოვა და ალბათ, სწორედ ამიტომაა მისი ცხოვრება ხალხისთვის დღემდე საინტერესო.

დიდებული ინტრიგანი — ცეცხლოვანი ოლგა

ოლგა ფონ შტეინი დიდებული ინტრიგანი, პირველი კლასის გამომძალველი, „სონია ოქროს ხელების“ მემკვიდრე. ამბობენ, რომ მისმა დანაშაულებმა ევროპა გააკვირვა.

ის გახლდათ მერ ვიქტორ ფონ ვალიასა და კონსტანტინ პობედონოსცევის მეგობარი, რომელიც ალექსანდრე მესამისა და ნიკოლაი მეორის მთავარი მრჩეველი გახლდათ. ფონ შტეინი ქურდავდა ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც (სონკასგან განსხვავებით) და მდიდარ ადამიანებსაც. საიუველირო ფირმა „ფაბერჟე“, ელისევების სავაჭრო სახლი, ავეჯის ფაბრიკა „მელცერი და კო“... ვინ აღარ დაზარალდა ცეცხლოვანი ოლგას მარჯვე ხელისგან. ერთ-ერთი პეტერბურგული მაღაზია 17 ათასი რუბლით დაზარალდა, ოლგას კაბებისა და ქუდების მიმართ სიყვარულის გამო. მისი დანახვისას კაცები საღი აზროვნების უნარს კარგავდნენ, ის კი ამ დროს მათ, ჯიბიდან საფულეს აცლიდა. ოლგას „მოღვაწეობაში“ შემზარავი შემთხვევაა — ღირსეულმა მოხუცმა პეტრ დევიატოვმა დიდი ვალი აიღო, რომ ლაზარეთის დარაჯი გამხდარიყო. ოლგამ კი, სინდისის ქენჯნის გარეშე, მოხუცის 4 ათასი რუბლი მიითვისა და წარბიც არ შეიხარა, როცა ყოფილი სერჟანტი მას ევედრებოდა ფულის დაბრუნებას. მოხუცმა ამდენ დამცირებას ვერ გაუძლო და გულის შეტევით გარდაიცვალა. სწორედ ამ ამბის შემდეგ გადაწყვიტეს სამართალდამცავებმა, ფონ შტეინის საქმისთვის მოეკიდათ ხელი, თუმცა მისმა პრესტიჟულმა ადვოკატმა, იაკოვ პერგამენტმა ციხიდან გაქცევა დაგეგმა — ოლგა მამაკაცის ტანსაცმელში გამოეწყო, გაიქცა და ნიუ-იორკში ჩავიდა, სადაც მდიდრულად ცხოვრობდა სასტუმროში „ვალდორფ-ასტორია“. ადვოკატ პერგამენტს კი აეკრძალა პროფესიული საქმიანობის წარმოება და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რუსულმა პოლიციამ მალევე მოახერხა სამშობლოში ოლგას ექსტრადირება. 1908 წელს, ოლგას კიდევ ერთი სასამართლო გაიმართა. ის გადაასახლეს პსკოვსკის ოლქის ქალაქ ოსტროვში, სადაც 50 რუბლად კონცერტებს ატარებდა. 1914 წელს, ფონ შტეინი პეტერბურგში დაბრუნდა, ბარონესა ოსტენი-საკენი გახდა, კრიმინალური საქმიანობა გააგრძელა და მალევე აღმოჩნდა ბრალდებულის სკამზე. მთავრობის შეცვლის მერე, ოლგამ დაიწყო საზღვარგარეთ მენშევიკების არალეგალურად „გაშვება“ — ის ყველას ართმევდა ფულს ან ოჯახურ რელიკვიებს, სანაცვლოდ კი პირდებოდა, რომ „ყველაფერს სწრაფად“ მოაგვარებდა, თუმცა... ოლგა კიდევ ერთხელ მოხვდა გისოსებსმიღმა, მაგრამ პატიმრობის ვადა ჯერ ხუთ წლამდე შეუმცირეს, შემდეგ სამამდე და ბოლოს... 60 წლის ოლგამ თავი შეაყვარა კოლონიის უფროს კროტოვს, რომელიც მასზე ორჯერ ახალგაზრდა იყო და ისინი ერთად გაიქცნენ მოსკოვში, სადაც მორიგი თაღლითური კანტორა გახსნეს. სამართალდამცავებმა კრიმინალი საყვარლები მალე იპოვეს, დაჭერის დროს კროტოვი სასიკვდილოდ დაიჭრა, ოლგამ კი ციხეში ხუთი წელი გაატარა. გასაკვირია, რომ ეს ავანტიურისტი და თაღლითი ქალბატონი, ყველა მთავრობის დროს ახერხებდა, წყლიდან მშრალი გამოსულიყო. ოლგა ფონ შტეინი-ოსტენ-საკენი ლენინგრადში გარდაიცვალა, თუმცა დღესაც უცნაური პოპულარობით აკვირვებს უამრავ ადამიანს.

„სისხლისმსმელი“ მარია

მას ყველაზე საშიშ, ეშმაკ, ცბიერ, ცინიკოს და სისხლისმსმელ ქალად მიიჩნევენ რუს კრიმინალ ქალბატონებში. არისტოკრატი მარია ტარნოვსკაია, გრაფი ორურკას ქალიშვილი იყო, რომელსაც სტიუარტების გვართანაც ჰქონდა კავშირი. ის განსაკუთრებით სასტიკი საყვარლებთან იყო — მარიას 22 წლის თაყვანისმცემელმა, ვლადიმერ შტალმა თავი მოიკლა მასთან ღამის გატარების შემდეგ. ამის მიზეზი კი, პირობა იყო, რომელიც მარიას მისცა — თავი უნდა მოეკლა, მანამდე კი სიცოცხლე 50 ათასად დაეზღვია მის სახელზე. ვლადიმერმა პირობა ტარნოვსკაიას დედის საფლავზე დადო და შეასრულა კიდეც. ეს ერთადერთი საზარელი ეპიზოდი არ იყო მარიას ცხოვრებაში. ამბობენ, საყვარლებს სიგარეტს აწვავდა ხელებზე, აიძულებდა მისი სახელი ამოესვირინგათ და აჩხუბებდა კიდეც ერთმანეთთანო. თავიდან ის სამხრეთ პალმირიში თავისი საყვარლის, დონატ პრილუკოვის ფულს რიცხავდა. პრილუკოვი ერთ დროს ნიჭიერი ადვოკატი და სამაგალითო მეოჯახე იყო, თუმცა როგორც კი ფული დაუმთავრდა, მარიამ ახალი გეგმა შეიმუშავა — თვალი შეძლებულ ქვრივს, გრაფ კამაროვსკის დაადგა, რომელმაც ვერ გაუძლო ტარნოვსკაიას ხიბლს. გრაფმა კამაროვსკიმ მას თავისი მეგობარი, გუბერნიის მდივანი ნიკოლაი ნაუმოვი გააცნო, რომელიც ასევე იყო გეგმის ნაწილი. ტარნოვსკაიამ 23 წლის ახალგაზრდა აიძულა, მოეკლა მეგობარი, რადგან საქმე 500 ათას რუბლს ეხებოდა. მარია ცდილობდა, ამ საქმიდან მშრალი გამოსულიყო, თუმცა ყველაფერი ქილერმა ჩაშალა, რომელმაც პოლიციას ყველაფერი უამბო. ტარნოვსკაია, პრილუკოვი და შვეიცარი ელიზა პერრიე, ასევე საქმეში ჩართული სხვა ადამიანები, სასამართლოში აღმოჩნდნენ. გადაწყვეტილებას ნაფიცი მსაჯულები იღებდნენ. მარიამ სპექტაკლი დადგა, ცდილობდა, თავი დაზარალებულად გამოეყვანა: „ნუთუ მე მართლა ავანტიურისტი, მკვლელი და დამნაშავე ვარ, როგორიც გგონივართ? ყველაზე კეთილ ადამიანად ნამდვილად არ მიმაჩნია თავი, თუმცა ახლა დარწმუნდებით მაინც, რომ მხოლოდ დაავადებული და სუსტი ქალი ვარ და არა ბოროტი და საზარელი არსება“. არ გაჭრა ტარნოვსკაიას სიყალბემ და მას რვა წელი გამოსასწორებელი სამუშაო მიუსაჯეს. მარიას ცხოვრების ბოლო წლების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. ამბობენ, რომ ის ერთ-ერთ მილიონერს შეუყვარდა და ამერიკაში წაიყვანა. თუმცა, რამდენად სიმართლეა ეს, არავინ იცის.

სერიული სასტიკი ინგლისელი მკვლელი მერი

მერი ენ კოტტონი ინგლისის ისტორიაში პირველ სერიულ მკვლელად შევიდა. დღემდე გაურკვეველია, რამდენი ადამიანის სიკვდილია მის სინდისზე. სამაგიეროდ, დაზუსტებულია, რომ საკუთარი ათი შვილი, ხუთი ნაშვილები ბავშვი, ოთხი ქმარი, ერთი საყვარელი და საკუთარი დედა მოკლა, ეს ყველაფერი კი გასამდიდრებლად გააკეთა. თითოეულმა ქმარმა მას დიდი ქონება დაუტოვა.

გარდა ამისა, მერი ღიად მისდევდა ცხოვრების აღვირახსნილ წესს, ხვდებოდა რამდენიმე კაცს ერთდროულად, ფეხმძიმდებოდა და როგორც კი ფულს იღებდა სადაზღვევო კომპანიებისგან, უსარგებლო ადამიანებს იშორებდა. მკვლელი მას შემდეგ დაიჭირეს, რაც ერთ-ერთ გვამში, ექსპერტიზამ დარიშხანის კვალი აღმოაჩინა. მერი სიკვდილით დასაჯეს.

ავსტრიელი „შავი ქვრივი“

მეტსახელად „შავ ქვრივს“ ხშირად არქმევდნენ ცნობილ ქალბატონებს და მათ შორისაა ელფრიდა ბლაუნშტაინერი. ავსტრიელი ქალბატონი გაზეთში აქვეყნებდა განცხადებას და მოხუცებს მოვლას სთავაზობდა, შემდეგ კი მსურველთაგან, მდიდარ კლიენტებს არჩევდა. ის აქტიურად თამაშობდა აზარტულ თამაშებს, ამიტომ ფულიც სულ ჭირდებოდა. მას შემდეგ, რაც კლიენტი ფულს დაუტოვებდა, ანტიდეპრესანტებითა და წამლით, რომელიც ამცირებდა სისხლში შაქრის ოდენობას, კლავდა. 1997 წელს ელფრიდას ბოროტმოქმედება გამოავლინეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მკვლელობების მოტივი იყო „ფული და ზიზღი კაცების მიმართ“.

შოტლანდიელი მილიონერის „უკანონო შვილი“

ჭკვიანი თაღლითი კანადელი კესი ჩედვიკი, ქალიშვილობაში ელიზაბეტ ბიგლი, პირველად 22 წლის ასაკში დაიჭირეს ბანკის ჩეკების გაყალბების გამო, თუმცა მალევე გაათავისუფლეს ფსიქიკური აშლილობის დამაჯერებელი სიმულაციის წყალობით. 1882 წელს ელიზაბეტი გათხოვდა, თუმცა ქმარმა, წარსულის გამო 11 დღის შემდეგ მიატოვა. მეორე მისი რჩეული ექიმი ჩედვიკი გახდა, რომელთანაც ღირსეული ქალბატონის როლი შეასრულა. არადა, მანამდე მოასწრო ყოფილიყო მკითხავი, საროსკიპოს დიასახლისი და ოთხი წელი ციხეშიც მჯდარიყო. კესიმ ყველაზე წარმატებული აფერა 1897 წელს გაითამაშა, როცა ნიუ-იორკში მცხოვრები, შოტლანდიელი ენდრიუ კერნეგის უკანონო შვილად გამოაცხადა თავი. ნაცნობ იურისტს სთხოვა, მიეყვანა კარნეგის სახლთან, ვითომ სახლიდან გამოვიდა და „შემთხვევით“ დაუვარდა ჩეკი, რომელზეც საგადასახადო ვალდებულება იყო ასახული, რაც შეამჩნია მის გვერდით მყოფმა იურისტმა. ამ ახალმა ამბავმა სწრაფად მიაღწია იქაურ ფინანსურ ბაზრამდე. ქალბატონმა, ყალბი 2 მილიონი დოლარის ჩეკით, რომელიც ვითომ „მამამისმა“ მისცა, მიიღო სესხები სხვადასხვა ბანკში. აღებული კრედიტების რაოდენობა მთლიანობაში შეადგენდა 20 მილიონ დოლარს. ამ ამბით პოლიცია დაინტერესდა. კარნეგს ჰკითხეს, იცოდა თუ არა რამე თავის ქალიშვილზე. უარყოფითი პასუხის შემდეგ პოლიციამ მისის ჩედვიკი დააპატიმრა. დაპატიმრებისას მას ქამარი ეკეთა ფულით, რომელშიც 100 ათას დოლარზე მეტი იდო. საპატიმროში, სადაც ქალს 10 წელი უნდა გაეტარებინა, ნივთებით სავსე რამდენიმე ჩემოდანი მიიტანა, ორი წლის შემდეგ კი, გარდაიცვალა.

„ვინ არის დორის პეინი?“

ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი „ვინ არის დორის პეინი?“, რომელშიც ბრილიანტების ცნობილი ქურდის როლს ჰოლი ბერი ასრულებს. სხვათა შორის, თავად დორის პეინი, რომელიც 1930 წელს დაიბადა, დღემდე ცოცხალია.

როლში შესასვლელად მსახიობი, ამერიკის ყველაზე ექსტრავაგანტური დამნაშავის სასამართლო პროცესსაც დაესწრო. 20 ფსევდონიმი, 5 ყალბი პასპორტი და სისხლის სამართლის 10-ტომიანი საქმე. მის ექსტრადიციას მოითხოვდნენ საფრანგეთი, იტალია და შვეიცარია. მოსამართლის მოადგილის კითხვაზე საქმიანობის შესახებ, დორისმა ამაყად უპასუხა: „ვიპარავ ოქროულობას, ვიპარავ ვირტუოზულად“. მოხუცი ქალბატონი გაასამართლეს იმისთვის, რომ სამხრეთ კალიფორნიაში ერთ-ერთი სამკაულების მაღაზიიდან 22,5 ათასი დოლარის ღირებულების კოლიე მოიპარა ისე, რომ არავის დამუქრებია და არც იარაღი გამოუყენებია. მეტიც, მაღაზიის პერსონალმა კარი ფართოდ გაუღო და კიდევ გვესტუმრეთო, უთხრა. ექვსი ათეული წლის განმავლობაში ამ დაუჯერებელმა ქალბატონმა უთვალავი სამკაული მოიპარა. დორისმა ისწავლა ადამიანის ფსიქოლოგია, მოიპოვა გამყიდველების ნდობა, რომლებსაც აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ზრდილობიანი, კეთილი შესახედაობის შავკანიანი ქალბატონი ქურდი აღმოჩნდებოდა. პეინი თავის თამაშში იყოლიებდა მაღაზიის პერსონალს, რომელიც მთელ ძვირფასეულობას აწყობდა მის წინ. საბოლოოდ კი, ტოვებდა საიუველირო მაღაზიას შენაძენის გარეშე, თუმცა მიჰქონდა ბეჭედი, რომლის თითიდან მოხსნაც „გადაავიწყდა“. ის ამაყობდა, რომ მან გაქურდა მაღაზიები მსოფლიოს მასშტაბით — კალიფორნიიდან მონტე-კარლომდე, მოასწრო ასევე ექვსი შტატის ციხეში ყოფნა და ამერიკაში დღემდე ხუმრობენ, დორისი მანამ იქურდებს, სანამ დამოუკიდებლად გადაადგილება შეეძლებაო.

ლევან კობიაშვილი: „არჩევნებზე ყველაფერი შეიცვლება!“

მაკა ბანძელაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა, ლევან კობიაშვილმა თავისი საარჩევნო კამპანიის შემაჯამებელი პრესკონფერენცია ჩაატარა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა... დიალოგი საკმაოდ საინტერესო გამოდგა, კობიაშვილმა მედიის ინტერესი სრულად დააკმაყოფილა და არჩევნებისთვის სრული მზადყოფნაც დაადასტურა...

— თქვენთან შეხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი თვეა, რაც საარჩევნო კამპანია დავიწყე და ძალიან ბევრ ადამიანს შევხვდი, კლუბების, ფედერაციების, ასოციაციების წარმომადგენლებს... ბევრ ქალაქში ვიყავი. სამი კლუბი დამრჩა და ამ ორ დღეში იქაც მივალ. ჩემთვის ძალიან საინტერესოა მათი მოსაზრებები, პრობლემები. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს გულშემატკივარს ნდობისა და გვერდში დგომისთვის. მადლობას გეუბნებით თქვენც, რადგან ამხელა ყურადღებას უთმობთ ამ არჩევნებს. თქვენზე ძალიან ბევრია დამოკიდებული...

მინდა, შევეხო იმ წერილს, რომელიც გუშინ უეფა-მ გამოაგზავნა ჩემი წერილის საპასუხოდ. მე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ვალდებული ვიყავი, მეცნობებინა მათთვის ის პრობლემები, რაც საარჩევნო პერიოდს ახლდა და მიხარია, რომ უეფა-მ მალევე გამოიჩინა ყურადღება. მინდა, გულისტკივილი გამოვთქვა დელეგატების თემაზეც — ჯერ კიდევ გაურკვეველია ორი დელეგატის საკითხი. აქამდე 35 ხმაც კი გვეცოტავებოდა და ახლა, შესაძლოა, 2 ხმა კიდევ დაიკარგოს. არადა, ეს ხმები არ არის ერთპიროვნული, ეს ხმები ეკუთვნის იმ რეგიონს, იქაურ ხალხს, გულშემატკივარს... ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით ხდება, სამწუხაროდ. დელეგატმა უნდა შეასრულოს ის, რასაც მას დააკისრებს სუბიექტი და არა თავისი აზრი გამოხატოს. ჩვენთან კი დელეგატები ღიად აცხადებენ, რომ მხარს უჭერს ამა თუ იმ კანდიდატს. ეს არასწორი და გაუგებარი დამოკიდებულებაა. ამდენი უაზრო გადაწყვეტილების გამოა, დღემდე რომ გაურკვევლობაა ორ რეგიონში, ვერ გაურკვევიათ, ვინ არის იქ დელეგატი. ამით კანდიდატები კი არა, ფეხბურთი ზარალდება.

წერილზე საუბარს ფედერაციის მიერ უეფა-ში გაგზავნილი მიმართვით დავასრულებ — მათ ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებიათ ის წერილი, რომელიც გაგზავნეს შვეიცარიაში, რაც დაუშვებლად მიმაჩნია. მე ღია ვარ ყველასთვის და თავად გამოვაქვეყნე ის წერილი, რაც გავგზავნე. ფედერაცია კი დუმს.

— 3 ოქტომბერს დანიშნულია მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები. რა მოხდება აღმასკომის არჩევასთან დაკავშირებით?

— ამ საკითხზე აქამდეც არაერთხელ მისაუბრია. ეს არის არასწორი გადაწყვეტილება. თავად უწერიათ წესდებაში, რომ აღმასკომი ირჩევა ოთხი წლის ვადით მომდევნო რიგით ყრილობამდე. 3 ოქტომბერს არის რიგითი ყრილობა. რა გამოდის? გარდა ამისა, შაბათს არაა დაგეგმილი არც პრეზიდენტის მოხსენება, არც გასული 4 წლის შეფასება, არც ბიუჯეტის დაგეგმვა... ეს არის პირად ინტერესებზე მორგებული ხალხის გადაწყვეტილება. ისევ უნდათ გაიხანგრძლივონ ვადა და შეინარჩუნონ ის ადგილები. მაინტერესებს, ვინმემ აჩუქა მათ ეს ფეხბურთი? საკუთრებაა? უნდა გააკეთოს ის, რაც უწერიათ წესდებაში!

— ანუ არჩევნები წესდების დარღვევით ტარდება?

— ეს ფაქტია. გითხარით ფაქტები და თავად განსაჯეთ. ტრიბუნალი ავიღოთ. ტრიბუნალი არის ზემდგომი ორგანო, რომლის გადაწყვეტილებაც არ საჩივრდება! ახლა კი ჩვენ რა გვაქვს? ტრიბუნალმა მიიღო მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილება და ადგნენ და მედიატორი მოხსნეს. ეს რაღა ზემდგომი ორგანოა?

— თქვენ იქნებით ტრიბუნალის დამოუკიდებლობის გარანტი?

— ეს რას ნიშნავს? აბა, რა აზრი აქვს ამ ტრიბუნალის არსებობას? ის უნდა იყოს ხელშეუხებელი. თორემ ვინ არის ახლა დაცული — კლუბი? ფეხბურთელი? მწვრთნელი? რომელიმე სუბიექტი? არავინ. ერთადერთი არის აღმასკომი და ფედერაცია. რასაც უნდათ, იმას წყვეტენ?

— ანუ რა გამოდის, არჩევნები ლეგიტიმურია თუ არა? გაუგებარია...

— გეთანხმებით, გაუგებარია. სწორედ ამას ვამბობ. როგორ ფიქრობთ, რეზი არველაძის გვერდით ოთახებში რომ სხედან დელეგატები, გობეჯიშვილი, ნაკაიძე, ხაჩიძე... ისინი ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებენ? თუ თავად გაიხანგრძლივებენ ადგილებს? ეთიკის კოდექსს რომ ახსენებენ, ამ ჩასმული დელეგატებით არ ირღვევა? კარგად ჩაიხედონ წესდებაში.

უეფა-ს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ თბილისში არჩევნებზე დასაკვირვებლად. როგორ ფიქრობთ, ჩაერევიან ისინი, რომ ამ არჩევნებმა არ მიიღოს ასეთი სახე?

ნამდვილად არ ვისურვებ, რომ ასეთი ფონი შეიქმნას და ამ არჩევნებს ასეთი პრობლემატური სახელი დაერქვას. იმ წარსულს, რომელსაც ვიხსენებთ და იმ ბინძურ ჩარევებს კონკრეტული ადამიანების კი არა, ფეხბურთისთვის აქვს ზიანი მიყენებული. კარგია, რომ ჩამოვიდნენ უეფა-ს წარმომადგენლები. ისინი ისედაც ჩამოვიდოდნენ და კიდევ ერთხელ არასწორ ინფორმაციას ავრცელებს გენმდივანი დიმიტრი ბოკერია, რომ თურმე მისი წერილის მერე ჩამოვიდნენ უეფა-დან. ეს სისულელეა. უეფა-დან ყოველ არჩევნებზე ჩამოდიან და მომავალშიც ჩამოვლენ. საერთოდ, ბოკერიას ქმედებები უკვე კომიკურია — ეს ადამიანი ხან როგორც პრესსამსახური ისე გვევლინება, ხან აღმასკომის სხდომებს ესწრება, ხან ტრიბუნალს. არადა, ის ახლა გენერალური მდივანია და პირდაპირ ვთქვათ: ის არის რეზი არველაძის გუნდის წევრი და როცა არველაძე ამბობს, რომ გადადგა და ფედერაციას უკვე აღარ მართავს, რა აზრი აქვს? ეს ხომ თავის მოტყუებაა? ზუსტად ესაა პირადი ინტერესები, რომ მივიდნენ არჩევნებამდე და გამოიყენონ ეს რესურსები.

— ზოგადად რა შეფასებას მისცემთ საარჩევნო გარემოს?

— ჩემთვის ეს პირველი კამპანია იყო, მთელი საქართველო ვნახე, ბევრი შეხვედრა მქონდა. ერთადერთი ეს იყო ხელისშეშლა დელეგატებზე. როცა გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კახა ებრალიძე და დიმიტრი ბოკერია გაკვირვებულები იძახიან, რომ თურმე ექვსი წელია, ასე აკეთებდნენ და დღეს რატომ უკვირს ხალხს, ეს არის სასაცილო. სწორედ ებრალიძის ბრალია, რომ დღეს გურია ხმის დაკარგვის საშიშროების წინაშეა. მას არაფერი გაუკეთებია, რომ ამ ექვსი წლის მანძილზე წესდება მაინც შეედგინა წესიერად. სამწუხაროა, რომ ისინი ვერ ხვდებიან, რომ დღეს სხვა მოცემულობაა და ისე არაა დანიშვნები, როგორც ადრე იყო, როცა მათი ერთპიროვნული გადაწყვეტილება მართლა არავის უკვირდა.

რამდენჯერმე გამოიკვეთა სახელმწიფო ჩარევის ნიშნები...

— შეგიძლიათ, ეს ფაქტები დაასახელოთ?

— მაგალითად, გურიაში, იმერეთის გუბერნატორის წერილი... ამაზე ადრეც მისაუბრია და კარგია, რომ მხოლოდ ეს კითხვებია, როცა ჩარევაზე ლაპარაკობენ.

გურიით დავიწყებ: ებრალიძეს არ აქვს უფლება, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს დელეგატის დანიშვნა. ეს მას წესდებაში უწერია. მას დაუპირისპირდნენ იქაური ვეტერანები, რომლებიც მხარს უწერდნენ მერაბ ჟორდანიას. ძალიან ცუდია, თუ ამ დაპირისპირებაში გამოჩნდა ვინმე, როგორც უწოდებენ სუს-ის თანამშრომელი. ეს ცუდია და მე არ მომწონს, ამიტომ ეს არის დავა ადგილობრივ ვეტერანებსა და ფედერაციის პრეზიდენტს შორის.

რაც შეეხება მეორე საკითხს: იცით, რომ კლუბებმა ფედერაციაში განწვრიანების სურვილი გამოთქვეს. ასეთი მოთხოვნა მათ წლების წინაც ჰქონდათ, მაგრამ მაშინ მათ უარი უთხრეს. რატომ? არველაძემ უკვე თქვა ეს, რომ თურმე ორი წლის წინ მოამზადეს ეს სიტუაცია, რომ „ზედმეტი“ ხმები არ გამოჩენილიყო. ბალანსი უნდა იყოს დაცული: 35 სუბიექტიდან 22 ფედერაციის დაქვემდებარებაშია. ასე არ შეიძლება. ესაა სიმართლე.

თუ სხვა ჩარევაში იმას გულისხმობთ, რომ კახა კალაძის მეგობარი ვარ, კი ბატონო, გიდასტურებთ და ძალიანაც ვამაყობ ამით.

და ჩარევაზე ძველი წლები გაიხსენონ და მიხვდებიან, რა არის ჩარევა სინამდვილეში.

— თუ წააგებთ, გააპროტესტებთ ამ საარჩევნო გარემოს?

— არ დამჭირდება. დარწმუნებული ვარ გამარჯვებაში და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მალე დასრულდება. ყველაფრის მიუხედავად, მე მზად ვარ მოსაგებად! იცით, წინა აღმასკომი როგორ აირჩიეს? ჩამოუწერეს სია წინასწარ, თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა. აი, ეს არის მიუღებელი. ეს სისტემაა შესაცვლელი.

— აღმოჩნდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აქვს 6-მილიონიანი ვალი...

— გავეცანი ამ ინფორმაციას. ადრეც გავაკეთე ამაზე კომენტარი, როცა ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამას აპირებდა და მაშინ გავაკრიტიკე ეს გადაწყვეტილება... მაგრამ არაფერი მიკვირს. ჩვენ ის ვერ გაგვირკვევია, ვის რა ფუნქცია აქვს ფედერაციაში, მაგალითად, ვიცე-პრეზიდენტი რას აკეთებს და სხვა რა გითხრათ. ზუსტი ინფორმაცია ჯერ არ მაქვს და თუ ასეა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია.

როცა ვიცე-პრეზიდენტს 4 წლის განმავლობაში თურმე 2 წერილის გაგზავნა ევალება, მეტი რაღა უნდა ვთქვათ? მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ყველაფერი 3 ოქტომბერს შეიცვლება.

— საქართველოს ჩემპიონატზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— ჩემპიონატი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ჩემთვის. მაგრამ დღევანდელი ვითარება რომ მძიმეა, ეს ფაქტია. ფედერაცია და კლუბები სხვადასხვა მხარეს დგანან. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფედერაციისთვის კლუბები ზედმეტი სიმძიმეა. მათთვის მთავარია ფული აიღონ, ნაკრებებს დაახარჯონ, ხელფასები დაირიგონ და მორჩა. ჩემპიონატი და კლუბები კი განზე დგანან.

მაგრამ 3 ოქტომბერი არის ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი დღე და მჯერა, ამ დღეს ბევრი რამ საბოლოოდ შეიცვლება...

ვერსიანიუსი

წინასწარი შეფასებით, 2015 წლის აგვისტოში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა 2,3 პროცენტი შეადგინა

წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2015 წლის აგვისტოში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპმა 2,3%, ხოლო 2015 წლის პირველი რვა თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 2,8% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2012 წლის იანვრიდან საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ს გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. **„აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებისგან. გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს“.**

bpn.ge

სახელმწიფო დეპარტამენტმა 5 მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდო დააწესა

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ის ადამიანი, ვინც „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაციას მიაწვდის, 5 მილიონი დოლარით დაჯილდოვდება.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ჯილდო გაიცემა ისეთი ინფორმაციის მიწოდებაში, რომელიც ხელს შეუწყობს აიკრძალოს ნავთობითა და იმ სიძველეებით ვაჭრობა, რომელსაც ფინანსური სარგებელი მოაქვს ტერორისტული დაჯგუფებისთვის.

სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნავენ, რომ ეს არის ბოევიკების დაფინანსების ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობითაც ისინი, მილიონობით დოლარს შოულობენ, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ იყენებენ.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ შეერთებულმა შტატებმა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებისთვის ჯილდო პირველად დააწესა. მანამდე ამერიკის ხელისუფლებამ სანქციები დაუწესა იმ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, ვინც ტერორისტულ დაჯგუფებასთანაა დაკავშირებული.

„პირველი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		8			7	4		
1	7			4	3			6
	6		4				5	
8				6				1
	1				5		2	
2			5	9			1	8
		4	6			3		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	5							
	2	4		6	8		9	
		8		7				
			1		7	4		6
3		6	5		4			
				2		3		
	3		8	1		7	5	
							1	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

			2			9		7
					6		4	1
1					4	6	3	
	8		4		7			3
2								6
3			8		9		1	
	7	3	6					8
4	2		7					
8		5			2			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	6		8	5		9		4
	9	8			3	7		
		7	2					8
2		6						
			3		6			
						4		2
6					1	8		
		5	4			2	9	
4		3		9	2		5	

ალსარებას ტაქსში იბარებს

აშშ-ს მეგაპოლისის, ნიუ იორკის მცხოვრებლებს ამიერიდან შეუძლიათ ცოდვების მოსანანიებლად ეკლესიაში აღარ იარონ. ამისთვის საკმარისია, ტაქსი გამოიძახონ, რომელსაც პასტორი ჯოზეფ ჯენი მართავს. ევანგელური ეკლესიის 52 წლის მღვდელი საკუთარ ტრანსპორტს „ბორბლიან ეკლესიას“ უტოლებს, რადგან ეს საშუალებას აძლევს, უამრავ ადამიანს შეხვდეს, ესაუბროს და დაეხმაროს. როცა მგზავრები იგებენ, რომ მანქანას პასტორი მართავს, მასთან გულითად საუბარს აბამენ. ყოფილა შემთხვევები, როცა მღვდელი რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში დახმარებია. ჯოზეფს მანქანაში გამუდმებით ქრისტიანული ჰიპ-ჰოპი აქვს ჩართული. იგი საკუთარ შეხედულებებს არავის ახვევს თავს, თავადაც რწმენაზე საკმაოდ თავისუფალი შეხედულებები აქვს. ღმერთის რომ გწამდეს, არ არის აუცილებელი, კვირაობით ეკლესიაში იარო. მთავარია, ღმერთი გულით ატარო და ადამიანებს სიკეთე გაუკეთო, — აცხადებს პასტორი.

ლუდი კოსმოსიდან

ცოტა ხნის წინ იაპონურმა კომპანიამ „საპორო“ ლუდის ონლაინ-გაყიდვები დაიწყო, რომელიც იმ ხორბლისგან არის დამზადებული, კოსმონავტების დახმარებით რომ მოიყვანეს. კამპანია წლის ბოლომდე გაგრძელდება და ამ აქციიდან მიღებულ შემოსავალს ფირმა განათლების საჭიროებისა და დედამიწის ახლო სივრცის ათვისების პროპაგანდისთვის მიმართავს. კოსმოსურ სადგურზე გაგზავნილ ხორბალს კოსმონავტები ხუთი თვის განმავლობაში უვლიდნენ და მოსავალიც მიიღეს. ახალი ლუდიც სწორედ მისგან დაამზადეს. გასაყიდად სულ 250 ყუთი სასმელია, ერთი ყუთი კი 10 ათასი იენი (დაახლოებით 110 ათასი დოლარი) ღირს. ახალი ლუდი წინასწარ ლაბორატორიულ ცხოველებზე გამოსცადეს, შემდეგ — კომპანიის თანამშრომელ-მოხალისეებზე და როგორც ამტკიცებენ, სასმელი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

კლინიკა მსუქნებს არ ემსახურება

ერთ-ერთი ბრიტანული სტომატოლოგიური კლინიკის ექიმებმა უარი განაცხადეს ჭარბწონიანი ადამიანების მკურნალობაზე. კლინიკა ქალაქ ებერდეირში მდებარეობს. აქაურმა პერსონალმა პაციენტებს უწყებები დაუგზავნა იმის თაობაზე, რომ 120 კილოგრამზე მეტი წონის პაციენტებს ვეღარ მოემსახურებიან. ასეთი მკაცრი პირობები შემთხვევით არ დაუდგენიათ: საქმე ის არის, რომ კლინიკამ ცოტა ხნის წინ ახალი აპარატურა შეიძინა, რაც დიდი თანხა დაუჯდა. ინვენტარი რომ არ გააფუჭონ, დანტისტებმა გადაწყვიტეს, თავიდანვე გაეფრთხილებინათ კლიენტები ახალი წესების თაობაზე. ჩვენი სტომატოლოგიური სავარძლები მხოლოდ გარკვეულ წონას უძლებს, ამიტომ მეტად ვეღარ მოვემსახურებით მსუქან პაციენტებს, — ნათქვამია ოფიციალურ წერილში, რომელიც ყველა პაციენტს გაეგზავნა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	4	8	3	7	2	6	1	5
3	6	1	5	4	9	2	8	7
5	2	7	8	1	6	4	9	3
2	8	6	1	9	7	5	3	4
4	5	9	2	6	3	8	7	1
1	7	3	4	8	5	9	6	2
6	9	5	7	3	4	1	2	8
8	3	4	6	2	1	7	5	9
7	1	2	9	5	8	3	4	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	3	7	8	4	1	2	9	6
2	9	8	6	7	5	4	3	1
4	1	6	3	2	9	8	7	5
3	8	4	9	1	7	6	5	2
9	2	5	4	8	6	3	1	7
7	6	1	5	3	2	9	4	8
1	4	9	7	6	8	5	2	3
8	7	3	2	5	4	1	6	9
6	5	2	1	9	3	7	8	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	2	6	5	9	8	7	3	4
9	8	5	4	7	3	2	6	1
7	4	3	2	1	6	9	8	5
8	5	2	3	6	1	4	9	7
6	1	7	9	5	4	3	2	8
4	3	9	8	2	7	5	1	6
5	9	4	1	8	2	6	7	3
3	7	1	6	4	9	8	5	2
2	6	8	7	3	5	1	4	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	3	6	2	4	5	8	1	9
2	1	9	7	3	8	6	5	4
8	5	4	1	9	6	7	3	2
6	9	7	5	2	4	3	8	1
1	4	8	3	7	9	5	2	6
3	2	5	8	6	1	9	4	7
5	8	2	6	1	7	4	9	3
9	6	1	4	8	3	2	7	5
4	7	3	9	5	2	1	6	8

მე-10 გვერდი: 1. ბეთანია; 2. ბეზუხოვი; 3. თეატრალი; 4. ნაურუ; 5. ალიბი; 6. ერისთავი; 7. რანდა; 8. სტეკი; 9. აქცენტი; 10. აზნავური; 11. აგენორი; 12. თითბერი; 13. მავასი; 14. ინფექცია; 15. ტარა; 16. ამფორა; 17. ელარჯი; 18. ხართუმი; 19. ხაკი; 20. გველთევზა; 21. იაგო; 22. ზრო; 23. ობნინსკი; 24. მატიანე; 25. მტლე; 26. ჰაგიოგრაფია; 27. ისლი; 28. იჯარა; 29. ბინი; 30. ჰერა; 31. გედია; 32. იტილი; 33. ბრაჰმა; 34. იბლისი; 35. ჯერარდი; 36. ალუდა; 37. სოლ; 38. ეშერა; 39. ბრიჯი; 40. კაა; 41. რადონი; 42. ეირე; 43. ილია; 44. დაიმი; 45. კაენი; 46. ჰალსი; 47. ლისი; 48. სიბარიტი; 49. გნუ; 50. მადონა; 51. კრკი; 52. ირი; 53. ენა; 54. როსტანი; 55. მოსე; 56. რეა; 57. ურანია; 58. ეა; 59. ასია; 60. კერკი; 61. იეტი; 62. ამია.

მე-12 გვერდი: 1. კონტრალტო; 2. დრაკონი; 3. კაბელი; 4. ნიკაპი; 5. რეჰანი; 6. რეფერატი; 7. კარაბინი; 8. ნარი; 9. ილინოისი; 10. ესკალატორი; 11. ჰეკუბა; 12. ფურორი; 13. იკაროსი; 14. ბანჯული; 15. „აეკი“; 16. ნიპელი; 17. რაბი; 18. ლისი; 19. აგური; 20. იპონი; 21. ჯორი; 22. ტონა; 23. ნიანგი; 24. უპე; 25. საბო; 26. ინბრიდინგი; 27. ოდა; 28. ლუსონი; 29. სერვოლანი; 30. ბუფონი; 31. ტვინი; 32. „ესკორიალი“; 33. აზარტი; 34. კოლი; 35. რაფინადი; 36. ბრა; 37. არაუკარია; 38. „გზა“; 39. ლენა; 40. აარე; 41. ვანი; 42. ფრანკო; 43. ლამანტინი; 44. აკინაკი; 45. „ფრანი“; 46. ურა; 47. გრანადა; 48. აბრაზია; 49. ტაკვი; 50. ურნა; 51. ტარო; 52. იშიასიო; 53. ნოკაუტი; 54. ტუგრიკი; 55. ტოსტერი; 56. კომუნიკე; 57. გნუ; 58. ბაშო; 59. ფიბრინი; 60. ანგარა; 61. „კია“; 62. არტალა; 63. მეტისი; 64. დიანა; 65. ვაიო; 66. სეიმი; 67. ამფორა; 68. კივი; 69. დაირა; 70. ირი; 71. სუმატრა; 72. ბალასტი; 73. აბა; 74. რიხი; 75. ბივა; 76. ჩინარი; 77. სპიჩი; 78. სე; 79. ყბა; 80. ავგია.

კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა სასარგებლოა?

ჩიკაგოს ნეიროფიზიოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად, დაასკვნეს, რომ მონიტორის წინ დიდხანს ჯდომა და ე.წ. მაუსის გამოყენება სივრცეში ადამიანის ორიენტაციის უნარს აუმჯობესებს. ექსპერიმენტში 20-მდე მოხალისემ მიიღო მონაწილეობა, რომელთა ნახევარს აქამდე კომპიუტერთან დიდი ხნის განმავლობაში არ უმუშავია. მოხალისეებს მარტივი ტესტი უნდა შესრულებინათ. მის დაძლევში სისწრაფით სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ, ვინც კომპიუტერთან დიდ დროს ატარებდა.

1. ფარ-დობითობის თეორიის ავტორი
2. მთელი ქვეყანა, ქვეყნიერება,
3. შეუსაბამო-ბა, უაზრობა
4. გამო-ჩენილი ინგლისელი ადმირალი
5. მოკლე სტანდარ-ტუ-ლი ამოცანა
6. ძველი ბერძენი დრა-მატურგი
7. ფერმის პატრონი
8. მკათათვის თანამდეროვე სახელწოდება
9. ელექ-ტრონმილაკი სამი ელე-ქტროდით
10. ნახევრად ძვირფასი ქვა
11. საქონლის წვნიანი საკვები
12. ყაჩაღი - გურიაში
13. საფეხბურ-თო ასოცია-ციათა ევროპის კავშირი
14. სამოას დედაქალაქი
15. ძიუდოისტთა ოსტატობის თანრიგი
16.უმაღლესი განათ. მიღების დამადასტურ. მოწმობა
17. იაზონის მეორე ცოლი
18. ავსტრიის დედაქალაქი
19. ფრანგი კომიკოსი ... რიშარი
20. ცნობილი ამერიკელი გამომგონე-ბელი
21. იგივეა, რაც ნამუსი
22.ძველეგ-ვიპტელთა წმინდა ხარი
23. ცხენირემი
24.ძეგლის სახეობა
25. ხორცის უძვლო ნაჭერი
26. ცის ღმერთი ბერძნულ მი-თოლოგიაში
27.ესპანეთში სიკვდილით დასჯა დახრ-ჩობით
28. დიდი შხამიანი გომბეშო
29. წერილის ავტორი, რომ-ლის ვინაობაც უცნობია
30. „სევილი-ის“ მთავარი მწვრთნელი
31. გენშტაბში მომუშავე ოფიცერი
32. დიდი წვეულება, ლხინი, ქეიფი
33. სასაუზმე საფრანგეთში
34. დახრილი შრიფტი
35. სა-ბერძნეთის პოლიტიკური პოლიცია
36. თავაშვე-ბული ქეიფი, ღრეობა
37. დედალი ცხვარი
38. ჩინეთის ერთ-ერთი პროვინცია
39. ჭადრაკის ფიგურა
40. საზოგა-დოების რჩეული ნაწილი
41. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
42. ღრმა და შეუ-ხორცებე-ლი ჭრილობა
43. ნაბოკო-ვის ერთ-ერთი რომანი
44. დილის სერენადა
45. მიწის იატაკი
46. ევროპის ჯუჯა სახ-ელმწიფო
47. მდინარე აღმოსავლეთ საფრანგეთში
48. პარტია ჩოგბურთის თამაშში
49. უმცირესი შვიდნიშნა რიცხვი
50. ზურგის ტკინის სითხე
51. აფრიკის დედა-მდინარე
52.ტარიე-ლის მამა „ვეფხის-ტყაოსანში“
53. საგანგებო დავალება
54.სხვადას-ხვა მხარეს მზირალი თვალები
55. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
56. სოფელი წალენჯიხის რაიონში
57. მოქა-ლაქეობის არმქონე პირი
58. მარია სკლოდოვსკა-ის მეუღლის გვარი
59. ბილიარ-დის სათამაშო ჯოხი
60. მიუნჰა-უზენის ტიტული
61. საოპერო პარტია
62. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
63. ზრდილობ. დასტურის გამომხატველი სიტყვა
64. მნიშ-ვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
65. დამუხ-ტული ატომი
66. ბუნებრივი მინერალური საღებავი წი-თელი ან ყვი-თელი ფერის, ჟანგმიწა
67. მოაჯირის ფიგურული სვეტი
68. ფრანგი მხატვარი
69.ძროხის ნაშიერი
70. თევზის წვნიანი
71. უკრაინის პარლამენტი
72. დაკო-დილი ცხენი
73. ლიტერა-ტურული ნარკვევი
74. ხასიათი, ზნე
75.შეძ. კონც. ნომრის გამეორების მოხოვნით
76. ქუსლიანი დიდი ჯამი
77. ასო „დ“-ს სახელ-წოდება
78. ბელგიელი მეკიოლინე და კომპოზიტორი
79. ღვინის, დროსტარების ღმერთი რო-მაულ მითოლ.
80. ბელგიის ქალაქი, სადაც ნაპოლეონის ბოლო ბრძოლა გაიმართა
81. დიდი ქართველი მსახიობი მამაკაცი

„ბედნიერ“ ბანანებს ყიდიან

იაპონურმა კომპანიამ Nendo, რომელიც ძვირიანი ხილის შეფუთვაზე მუშაობს, ამომავალი მზის ქვეყნის ბაზარზე ორკანიანი ბანანის გაყიდვა დაიწყო. სინამდვილეში ეს მეორე კანი — ოსტატურად გაკეთებული შეფუთვაა, რომელიც თავისი ტექსტურითა და ფერით ნატურალური ხილისას ჰგავს. შეფუთვის მოხსნისას მყიდველს შეუძლია მის ქვეშ წაიკითხოს ინფორმაცია ამ ბანანის შესახებ. ბანანი კი უბრალო არ არის: ის მხოლოდ ერთ ადგილას მოდის დედამიწაზე — ფილიპინებზე, მაღალ მთებში მდებარე ნაკრძალში. ამ ბანანს „შიავასეს“ უწოდებენ, რაც იაპონურად „ბედნიერებას“ ნიშნავს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 3222942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.